საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 27 ნოემბერი. 2019 წ. №234 (8900) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ამღვრეული ნოემბერი „ოცნების“ მხარდამჭერებმა უნდა დაწმინდონ!

შეუტიე, როცა გიტევენ! თავი დააღწიე ნაცისტური კობრის ჰიპნოზს!

რა უსაშველოდ აიმღვრა ნოემბერი!

რუსთაველზე, პარლამენტის წინ რომ ამბები ხდება, წესით, ჩვენი ცოდვით ქვეყანა უნდა იწვოდეს.

ფეხმოუცვლელად დგას ან ზის ძველი „კმარას“ ნარეცხზე ამოსული ახალი ფორმაციის „კმარა“ და შინ ახლობლებს უხეთქავს გულს, გარეთ კი — შორებლებს.

დილაობით, სანამ ნოემბრის მზე აღოლდება კაბადონზე და ზარმაცი სხივებით მიგვიტყუებს, ეს ახალი „კმარა“ (ვითომ „სირცხვილია“) დათარეშობს მოედანზე და ქვეყანა მისი ჰგონია. მერე და მერე მამაცი რევოლუციონერები გამოიბუზებიან, სანამ სპეცნაზთან ლაპარაკით არ მოღონიერდებიან, მაინცდამაინც ავ თვალს არ ენახვებიანო, ვერ იტყვი. სპეცნაზელებთან კინკლაობა და მოთელვა წელში გაშლით, თვალებში ხალისიანი სიავე ჩაეღვრებათ და პარლამენტის შენობას გაუკრაჭუნებენ კბილებს.

აქ თავისებური მორიგეობაა. რიგ-რიგობით იღებენ წინააღმდეგობის სადავეებს: ნაცები და ევრონაცები, შალიკოები და ბურჯანაძისტები... აფსუს, ეს ჩვენი დაფიქრებული, ფრთხილი, სულ გამოცანებით მოლაპარაკე ქალბატონი... აიწყვიტა, მარა რა აიწყვიტა, მტრისას, თაკო ჩარკვიანს გადაასწრო „ქართული ოცნების“ დედის გინებაში. აშკარაა, გამოცდილებამ უკარნახა, „ოცნების“ საქმე წასულიაო და ჩქარობს მის კუბოზე ლურსმნის დაჭედებას. მაგრამ, ვაითუ მასაც, გუბაზ სანიკიძესაც და ვალერი გელბახიანსაც ნაადრევად მოუვიდეთ კამარის შეკვრა.

ჯერჯერობით დღევანდელი რევოლუციური ალტყინებიდან ნაღდი და უტყუარი ეს არის: მარცხნივ — მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში და მარჯვნივ — პირველ გიმნაზიაში, ბავშვთა რაოდენობა კატასტროფულად შემცირებულია, ამ დღეებში არც მარცხნივ და არც მარჯვნივ მშობლები შვილებს არ უშვებენ იქ ჩასაფრებულდაბუდებული: ბოკერია-უგულავა-ვაშაძე-ბოკუჩავა-სამადაშვილი-ხოშტარია-გოცირიძის გამო, მართალია, მათ შეიძლება ბავშვებს არც არაფერი მოაჭამონ, მაგრამ შეშინებით კი ნამდვილად შეაშინებენ. წარმოგიდგენიათ, მეხუთეკლასელ ლიზიკოს ბუჩქებიდან ხოშტარია რომ გამოუხტეს სასტვენით, დაზაფრავს ბავშვს.

ერთი სიტყვით, პარლამენტის წინ ამ დღეებში დიდი უგვანი რამ ხდება: ოპოზიციამ (უკვე გაერთიანებულმა ოპოზიციამ!) სასიცოცხლო ტერიტორია იგდო ხელთ და კბილებითა და ბრჭყალებით ჩაებღაუჭა, ჩათვალა, რომ ეს სამომავლო სივრცეა: მთელ იმედებს ამყარებს, რომ აქედან იწყება დაკარგულის დაბრუნება, კაცმა არ იცის, საიდან გაჩენილი ამ უსაფუძვლობით ძალმოცემული, იგი გასცემს განკარგულებებს, ყიდულობს, აბამს და აბოქლომებს ჯაჭვებს, მოაქვს თუნუქის კასრები და შეშა მხარდამჭერებისთვის, ნიკა გვარამიაზე არანაკლებ ილანძღება, მის გარშემო მუდამ მდგომი რამდენიმე ასეული კაცი ჰგონია მთავარი დამრტყმელი ძალა.

ეს მაფიქრებინებს, რომ დადგა აქტიური მოქმედების დრო. მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ წააგო, დანაპირები ვერ შეასრულა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მას მაინც შერჩა რესურსები და მხარდამჭერები. რატომ არ უნდა მოუხმოს მათ და გარკვეულად გააწონასწოროს ძალთა თანაფარდობა!

ჯერ სულაც არ არის ღამე! ჯერ სულაც არ დამთავრებულა არაფერი! შეუტიე, როცა გიტევენ! თავი დააღწიე ნაცისტური კობრის ჰიპნოზს! დღეს სწორედ ეს არის საჭირო, ხვალ შეიძლება გვიანი იყოს!

სანდრო ალექსიძე

ილია მეორე: მთავრობასა და ოპოზიციას შორის ურთიერთგაგება არ არის!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად, ელჩები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მიიღო. ელჩებმა მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადეს ილია მეორეს და აღნიშნეს, რომ დიდია ეკლესიის და პირადად მისი უწმინდესობის როლი საქართველოს განვითარებაში.

საქართველოს საპატრიარქოში აცხადებენ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ელჩებს ვიზიტისთვის და საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, როცა მრავალი პრობლემა არის სახელმწიფოებში და მათ ურთიერთობებში. მოგეხსენებათ, არაერთი პრობლემა აქვს საქართველოსაც. უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ ტერიტორიული მთლიანობაა დარღვეული. 20 პროცენტი — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ჯერჯერობით არ არის ჩვენი კონტროლის ქვეშ. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი და აფხაზეთიდან ამირჩიეს საქართველოს პატრიარქად 42 წლის წინ, ბუნებრივია, ეს მხარე მეტად მტკივნეულია ჩემთვის.

სამწუხარო ფაქტია ისიც, რომ არ არის ურთიერთგაგება მთავრობასა და ოპოზიციას შორის. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვისწავლოთ მოსმენა ერთმანეთისა. მოსმენით და ურთიერთგაგებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

მე მადლობელი ვარ და საქართველო მადლობელია თქვენი დახმარებისა, თქვენი თანადგომისა“, — მიმართა ელჩებს ილია მეორემ.

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) ისაუბრა ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობაზე, საელჩოების როლზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მზადაა თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, რისი ერთ-ერთი დასტურიცაა ჩვენი ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში და ბრიუსელში. მან ასევე ისაუბრა კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე და დიპლომატებს სთხოვა დახმარება ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლებაში. **შეხვედრის დასასრულ მისი უწმინდესობის ნათლულების გუნდმა ხალხური სიმღერები და კათოლიკოს-პატრიარქის საგალობლები შეასრულა. კათოლიკოს-პატრიარქმა ელჩებს თანადგომისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.**



5

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი

კახა კალაძე: ვერავინ გაბედავს, ადამიანებს აზრის გამოხატვის უფლება შეუზღუდოს, თუმცა, კანონის დარღვევის საშუალებაც არავის მიეცემა

— ადამიანებს აზრის გამოხატვის უფლებას ვერავინ შეუზღუდავს. ჩვენ მოვიპოვეთ აზრის გამოხატვის თავისუფლება 2012 წლის შემდეგ, აზრის გამოხატვის პრობლემა ქვეყანაში არ არსებობს. ნებისმიერ ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს, რამდენად განსხვავებული და კრიტიკული მოსაზრებაც არ უნდა ჰქონდეს, აქვთ შესაძლებლობა, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე, მშვიდობიან ფორმაში, კანონიერი გზით. თუკი გასცდებიან კანონის ჩარჩოებს, ამას შესაბამისად მოჰყვება რეაგირება, რაც იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის ხალხის ის რაოდენობა, რომ გზა იყოს გადაკეტილი და გზა არის გადაკეტილი, ეს არის კანონდარღვევა, არ შეიძება“, — განაცხადა კალაძემ.

კალაძე კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ბლოკირება არის დანაშაული და ამ ფაქტს რეაგირება მოჰყვა. კალაძის თქმით, აქციის მონაწილეები შესაბამისმა სამსახურებმა გააფრთხილეს.

„სანამ ადამიანების გაწევა მოხდებოდა, მათ მიმართა მერიის სამსახურის წარმომადგენელმაც და საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმაც, მისცეს დრო, რომ თვითონვე გადაეტანათ ნივთები. სხვათაშორის, რამდენიმე ქუჩაზე თვითონ დადგნენ, იქ კინოს უყურებდნენ, გადაიტანეს ყველა ტექნიკა, არ შეუქმნიათ არანაირი პრობლემა. ერთი კონკრეტული ქუჩა იყო, სადაც არ მიიღეს ეს ინფორმაცია და გაწიეს წინააღმდეგობა, — განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, კალაძე აღნიშნავს, რომ პარლამენტთან გუშინ წყლის ჭავლი გამოყენებული იყო.

„პარლამენტი ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას, რა ფორმაზე მეკითხებით, არ ვიცი. პარლამენტის ბლოკირების უფლება არავის მიეცემა. ვერავინ გაბედავს, თავიანთი მოსაზრებების გამოხატვის უფლება შეუზღუდოს ამ ადამიანებს, რაც არ უნდა კრიტიკული მოსაზრებები ჰქონდეთ სხვადახვა საკითხზე. კანონის ფარგლებში ამ ადამიანებს აქვთ ამის უფლებაც და შესაძლებლობაც. ვერავინ გაბედავს შეზღუდვას, თუმცა თუ კანონის ფარგლებს გასცდებიან, სახელმწიფო მოახდენს შესაბამის რეაგირებას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

როდესაც „ნაცმოძრაობა“ არ იარსებებს და არ იარსებებენ პარტიული ტელევიზიები, შეგვეძლება, ვთქვათ, რომ მედია არის აბსოლუტურად თავისუფალი

— განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

მისი თქმით, როდესაც არსებობენ პარტიული ტელევიზიები, გასაგებია ტენდენციური მიდგომა.

„ასევე, მინდა შევეხო ერთ თემას, რომელიც, ალბათ, ძალიან ახლოს არის ყველა დეპუტატთან — მადლობა მინდა, გადავუხადო ყველა ჟურნალისტს, ოპერატორებს, რომლებიც დღე და ღამეს ასწორებენ იმისათვის, რომ ინფორმაცია გადასცენ საზოგადოებას. მათ იციან თავისუფლების ხარისხი რამდენად იყო შეზღუდული 2012 წლამდე და რამდენად იზრდება დღეს... ისინი ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ და როგორც სურთ, მაგრამ რადგან „ნაცმოძრაობა“ არის მილევად რეჟიმში, გპირდებით, რომ ძალიან მალე დამთავრდება ის დრო, როდესაც ჟურნალისტების მცირე ნაწილს, მაგრამ მაინც ნაწილი, იქნება იძულებული, მაგალითად, გაეკიდოს იმას, ვინც არ გარბის.

ჩვენ გვაქვს ასეთი პრეცედენტები. პერსონალური პატივისცემის ფარგლებში იმასაც გეტყვით, რომ, როდესაც არსებობენ პარტიული ტელევიზიები, გასაგებია მიდგომები, გასაგებია ტენდენციური მიდგომა. შეიძლება დეტალია, მაგრამ მნიშვნელოვანი — როდესაც რესპონდენტი დგას, არსად არ მიდის, ბოლომდე ამომწურავად პასუხობს და როგორც კი კითხვებს და პასუხებს ამოწურავს, მიდის ორი მეტრის იქით, იძულებული რომ ხდები, გაეკიდო. აი, ეს იძულებაც არ გექნებათ. დარწმუნებული ვარ, მაშინ როდესაც „ნაცმოძრაობის“ კონკრეტული ტელევიზიები არ იარსებებენ — იმიტომ კი არა, ტელევიზიები და მედიასაშუალებები არ იარსებებენ, არამედ იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობა“ აღარ იარსებებს და ჩვენ შეგვეძლება ვთქვათ, რომ მედია არის აბსოლუტურად თავისუფალი. თუ ისინი აკეთებდნენ და ახორციელებდნენ ბულინგს წლების განმავლობაში, ისინი ამას აგრძელებენ დღესაც და მე დარწმუნებული ვარ, რომ თავისუფლების ხარისხი თქვენიდან დაწყებული კიდევ უფრო გაიზრდება ამ ქვეყანაში“, — აცხადებს მამუკა მდინარაძე.

მამუკა მდინარაძემ ასევე განაცხადა, რომ ამ დღეებში გამოჩნდა პოლიციის მოქმედებებში, რომ შეიძლება, იყო ძლიერი და, ამავდროულად, ჰუმანური.

„პრობლემა უკვე ის კი არაა, არჩევნებამდე იყოს სიმშვიდე, საფიქრალია, იქნება თუ არა სიმშვიდე არჩევნების შემდეგ“

საპარლამენტო უმრავლესობამ 2-დღიანი კონსულტაციების შემდეგ საზოგადოებისადმი მმართველი გუნდის შემდეგი ძირითადი გზავნილები გაახმაურა: „თემა დახურულია“ — 2020 წლის არჩევნები ძველი საარჩევნო სისტემით ჩატარდება და არანაირ ახალ საარჩევნო ინიციატივას გუნდი აღარ განიხილავს; დეპუტატები, რომლებიც სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლაზე მუშაობენ, ამ მიმართულებით საქმიანობას გააგრძელებენ, ოღონდ იმ პირობით, რომ საარჩევნო რეფორმის საკითხი საერთოსახალხო კენჭისყრაზე 2020 წლის საპარლამენტო ან 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს დადგება; „ქართული ოცნება“ არ დააყენებს კანდიდატებს იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ ორი ძირითადი ფრთისა და მისი დანამატების გარდა, დანარჩენი ოპოზიციის ნებისმიერ წარმომადგენელს ან დამოუკიდებელ კანდიდატს ექნება გამარჯვების რეალური შანსი“.

„შედეგად უზრუნველვყოფთ მომავალი პარლამენტის მაქსიმალურ პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, გზას გავუხსნით ორგანიზაციულად სუსტ, მაგრამ ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურ ჯგუფებს და აქტიურ ადამიანებს, რათა მათ უშუალო და ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც იყო კიდეც ჩვენს მიერ ივნისში წარდგენილი საარჩევნო შეთავაზების ყველაზე მთავარი იდეა“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ სახელით მმართველი პარტიის გენმდივანმა კახა კალაძემ.

აძ რამდენიმე ნიუანსია საყურადღებო:

მმართველ გუნდში მაჟორიტარი დეპუტატების „დარწმუნების“ რესურსი ყოფილა, არადა, ირწმუნებოდნენ, პროპორციულ სისტემაზე ამ რესურსის უქონლობის გამო ითქვა უარიო; „ქართული ოცნება“ თავად განსაზღვრავს, ვის აქვს გამარჯვების რესურსი, არადა, ეს რეალურად, თავად არჩევნების შედეგებმა უნდა განსაზღვროს; როგორც ჩანს, მიუხედავად კონსტიტუციური მოცემულობისა, პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკითხი არც 2024 წლისთვის არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ამასთან, ოპოზიციამ „გერმანული მოდელის“ ქართულ რეალობაზე მორგების პროცესი დაასრულა და პროექტი ექსპერტიზისთვის (იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამება ის საქართველოს კონსტიტუციას) დღეს საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუგზავნის, თუმცა პროექტის გაცნობის გარეშე არწმუნებს საზოგადოებას მის „არაკონსტიტუციურობაში“.

რაც შეეხება მმართველი გუნდის დანარჩენ გზავნილებს, ოპოზიციაში მათ „ვაჭრობად, ოპოზიციაში განხეთქილების შეტანის მცდელობად, შეურაცხმყოფელად“ აფასებენ და პოლიტიკური ბრძოლის ქუჩიდან გაგრძელებას გეგმავენ.

„ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ უნდა დავაზუსტებინოთ, ეს მხოლოდ იდეაა, თუ დაპირება. არავინ იცის, 6 თვის შემდეგ მმართველი პოლიტიკური პარტია რა ჭკუაზე იქნება, რადგან ეს უკვე გავიარეთ და ვნახეთ“, —ირონიულად აღნიშნავს პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე**, რომლის ხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური აუქციონი გამოაცხადა, რომელიც დეესკალაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად ვერ შეფასდება.



„არ მგონია, რომ ღირსების მქონე ადამიანი მსგავს შეთავაზებას დასთანხმდეს. აღარაფერს ვამბობ პოლიტიკურ პარტიებზე. წარმოიდგინეთ, თავად მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა განსაზღვროს, შენ რა შანსები გაქვს... გამოცხადებულია აუქციონი, თუმცა ძალიან ცუდ კონტექსტში. ცდილობენ, პიარით როგორმე გადაფარონ თემა. როგორც ჩანს, ჩვენ უკვე საარჩევნო მარათონში შევედით. ოპოზიციას თავისი გეგმები აქვს, მაგრამ ის, რომ „ქართული ოცნება“ დათმობაზე არ წამოვიდოდა, დღევანდელ დღემდეც ნათელი იყო. როგორც ჩანს, კიდევ უფრო რთულ პროცესებში შევალთ. პრობლემა უკვე ის კი აღარაა, რომ არჩევნებამდე იყოს სიმშვიდე, ნათელია, რომ ასე აღარ იქნება, ახლა საფიქრალია, იქნება თუ არა სიმშვიდე არჩევნების შემდეგ“.

ძაბირაძე მოვლენებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და შექმნილი ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალი რთულად ესახება: **„დაპირისპირება დაიწყო და გაგრძელდება. ახლა ოპოზიციის და ხელისუფლების იმედი მაქვს, რომ ეს დაპირისპირება კანონიერ ფარგლებს არ გასცდეს და არ მივიღოთ უმართავი პროცესები. ამაზე, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ორივეს ეკისრება“.**

„ვაგზლის „კიდალას“ დონის სათითურებით თამაშს“ უწოდებს ხელისუფლების ქცევას ანალიტიკოსი **გია ხუხაშვილი**. ამ შემთხვევაში „ქცევაში“ იგი არა მხოლოდ კახა კალაძის მიერ გაჟღერებულ გზავნილებს, არამედ ზოგადად, მმართველი პოლიტიკური ძალის მხრიდან დაპირებული პროპორციული საარჩევნო სისტემის შესახებ კანონპროექტის ჩაგდების გამო თავის მართლების მცდელობასა და შემდეგ ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების პროტესტზე რეაქციას მოიაზრებს.

„პროვინციულ დონეს ვერ გასცდნენ: ყველას „ნაცი“ უწოდეს; გერმანული მოდელი უსუფაშვილის შეთავაზებული იყო და ისიც „ნაცად“ გამოაცხადეს, დაპირება არ შეასრულეს და ჩვენ გაგვიბაზრდნენ, „რომ გადაგაგდეთ, თქვები ბრალიაო“... — გაუგებარ თამაშს თამაშობენ და, რაც მთავარია, ყველა ბრიყვი ჰგონიათ. ბუნებრივია, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მორიგ სცენარს დაწერენ და „ნაცების“ ძახილით ისევ ნეგატიურ დღის წესრიგში უნდათ, აცხოვრონ ქვეყანა. ვფიქრობ, ამ ნარატივმა 8 წლისთავზე რესურსი ამოწურა, მაგრამ ეს არჩევნების შედეგებმა უნდა აჩვენოს.

მისი დაკვირვებით, „ქართულ ოცნებას“ მანევრირების რესურსები აღარ დარჩა და მისი ერთადერი ძალა ოპოზიციის სისუსტეშია: **„ჩვენ ხომ რეალურად, ქვეყანაში მთლიანად პოლიტიკური ელიტის პრობლემა გვაქვს. ხელისუფლება გაიმარჯვებს იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია კიდევ უფრო მეტ უუნარობას გამოიჩენს“.**

საცოდავი გვარამია სხვის ფსიქიკაზე ლაპარაკობს...

ნიკა გვარამიას

ნიკა გვარამიამ გუშინ საღამოს ეთერში მიხეილ სააკაშვილი ჩართო და აღნიშნა, რომ ის საქართველოს ახალი სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი მამაა.

გვარამიამ სააკაშვილის მიმართ ქებათა-ქება არ დაიშურა და კიდევ ერთხელ დასძინა, რომ ის ყოფილ პრეზიდენტზე მასშტაბურ ქართველ პოლიტიკოსს ქართულ პოლიტიკაში დღეს ვერ ხედავს.

„დღეს რაც ვნახე, აი ამ ჭაღების, ყველაფერი სისულელის, აზერბაიჯან-საქართველოს შორის ლამის კონფლიქტის გაჩაღების, ბევრი უმძიმესი და მავნებლური შეცდომის შემდეგ, დღეს რაც ვნახე, რესტორანში, სალობიეში, არ ვიცი, მოქეიფე თუ რას შვრებოდა, ალბათ, მიირთმევდა რამეს ხო?! მე წარმოდგენაც კი არ მაქვს რა კომენტარი გავაკეთო! მე რა კომენტარიც მინდა გავაკეთო, იმ კომენტარს ჩემი თანამშრომლების თხოვნით, ამ ტელევიზიაში არ გავაკეთებ და არც ვაპირებ.

ეს ქალი აირჩია იმ ხალხმა, ვინც მიესალმება იმას, რომ საქართველოს ახალი სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი მამა მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური დევნილი. მიხეილ სააკაშვილი შეიძლება მოგწონდეს, ან არ მოგწონდეს, მაგრამ გიხაროდეს მისი პოლიტიკური დევნილობა და თან მოგწონდეს სალომე ზურაბიშვილი, ეს ფსიქიკის სტაბილური მდგომარეობა არ მგონია, ბოდიშს ვიხდი ყველასთან“ — განაცხადა გვარამიამ...

პოლიტოლოგ **კორნელი კაკაჩიასთვის** კი „ქართული ოცნების“ წინადადებები წარმოადგენს **„არა გამოსავალს, არამედ მცდელობას, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება შეაგუოს იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილება გადახედვას არ ექვემდებარება“**. ამასთან, იგი მმართველ გუნდს შეახსენებს, რომ რა სახის პარტიები იქნებიან წარმოდგენილები პარლამენტში მმართველი პოლიტიკური ძალის თუ ოპოზიციის სახით, ამას ამომრჩეველი წყვეტს, განურჩევლად იმისა, ვის მიმართაა ხელისუფლება სიმპათიით განწყობილი, ხოლო ვის ექნება არჩევნებში უპირატესობა — ეს დღეს არავინ იცის.

შექმნილ ვითარებაში გამოსავალს იგი საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობაში ხედავს: **„არჩევნები ახლოვდება, ორივე მხრიდან ტონუსი იზრდება, კიდევ უფრო გაიზრდება და დაახლოებით ისეთ დონეს მიაღწევს, როგორიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ გვქონდა. ამ პოლარიზებული გარემოდან გამოსავალი ცოტა რჩება. არ მგონია, ქვეყნის შიგნით რაღაც რესურსები მოიძებნოს. აქამდე ეკლესია მოიაზრებოდა, თუმცა ახლა მას თავისი შიდა პრობლემები აქვს. ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოებამ მეტი აქტიურობა უნდა გამოავლინოს, როგორც ეს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას მოხდა“.**

თუმცა, მისივე თქმით, ვინაიდან 2020 წელს ბევრ ქვეყანაშია არჩევნები, არსებობს საფრთხე, საქართველოს თემები გადაიფაროს და შესაძლოა, „ქართული ოცნება“ ამაზე დებდეს „ფსონს“: **„მომავალ წელს ძალიან ბევრ ქვეყანაშია არჩევნები, მათ შორის — შეერთებულ შტატებში. არსებობს საფრთხე, საქართველოში მიმდინარე პროცესებს სათანადო ყურადღება ვერ მიექცეს. ამიტომ მნიშვნელოვანია დროული აქტივობა. მნიშვნელოვანია საერთაორისო აქტორების როლი, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დადგეს, ვინაიდან ეს კიდევ სხვა პროცესებს გამოიწვევს. საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესებულია რეგიონში სტაბილურობით და ვფიქრობ, ეს მათ ინტერესებშიც შედის“.**

◎ სადღეისო მუნასიბი

„მთავარის“ სალობიე

რადგან ბობოქრობს ნიკა და
უკადრეზელი იკადრა,
თან თქვეს: „მფარველობს ლობიო“;
ყური მივუგდოთ უღვარძლეს
მომწერლო ლაშა ბუღაძეს
და ნუღარ შევჭამთ ლობიოს!..

ლობიოს ჯერძი — „შეცვალეს“?

ჯერ პარლამენტთან წყლით სავსე
ვარცლი დადგით თუ გობიო,
ახლა კი მათ როლს „ითავსებს“
სალობიე და ლობიო!
„შეცვალეს“ — „ნაცის“ მოშხამულს
ამით გსურს დაგვაგმობინო,
თუკი ქოთანში მოხარშულს
პრეზიდენტი ჭამს ლობიოს.
ღმერთმა ინებოს, ხანდახან
ჭკუასთან ახლოს მდგარიყოთ,
თორემ თავით არ დადიხართ,
ერთი არაკის არ იყოს!..

ალექსანდრე შენგელია

◎ კითხული კაცის აზრი

14 ნოემბრის ხელისუფლების „ტყუილი“ სხვა მრავლისგან რით განსხვავდება?!

14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში 2020 წლიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის საკითხის ჩაგდების შემდეგ განვითარებული მოვლენების განხილვისას ბევრი, მათ შორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული, პიროვნება სვამს კითხვას: **„რა დაგემართათ, რამ გადაგრიათ, პირველი შემთხვევა ხომ არაა ხელისუფლებამ რომ მოგვატყუა/„გადაგვაგდო?“.**

ეტყობა, აბსოლუტურად იგივე აზრის არიან ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით საჯაროდ გამოდიან. მათ „შუბლზე აწერიათ“ გაოცება იმის გამო, რომ სხვა შემთხვევაში სახელისუფ-

ლებო ტყუილზე მათი „მეხამრიდი“ კომენტარები და რაღაც ინიციატივები, ახლა თუ რატომ არ ასრულებენ „პოლიტიკური ანტიდოტის“ ფუნქციას.

წინასაარჩევნო თუ სხვა დაპირებების შეუსრულებლობისას, ხელისუფლება ატყუებდა საკუთარ მოსახლეობას, მაგრამ ამ ტყუილებით არ ეხებოდა საპარტნიორო ურთიერთობებს. შესაბამისად, ამ უკანასკნელთა მხრიდან, ის განიხილებოდა ქვეყნის საშინაო საქმედ.

ახლა, საკითხი შეეხო საერთაშორისო არენაზე საქართველოს, როგორც ქვეყნის არასაიმედო პარტნიორად წარმოჩენას.

მეგობრებისა და პარტნიორების აზრით: ქვეყანა თუ არღვევს ერთ პირობას, მას შეუძლია, დაარღვიოს მეორეც, მესამეც და ა.შ., რაც საფრთხეს უქმნის ყველა იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც ქვეყანას აღებული აქვს სხვადასხვა ფორმით.

14 ნოემბერს ხელისუფლებას უნდა შეესრულებინა 20 ივნისის „გავრილოვის ღამის“ პროტესტით მიღებული გადაწყვეტილება, რაც ხელისუფლების სისუსტის კი არა, არამედ სიძლიერის გამოხატულება იქნებოდა!

ხელისუფლება აჩვენებდა თავის ერთგულებას დემოკრატიისადმი და მოახდენდა თავისი ძალებისადმი რწმენის დემონსტრაციას, ხოლო მის მომხრეებს დაუტოვებდა საკუთარი სიმართლის შეგრძნებას.

დასავლეთი, ბუნებრივია, პროპორციულ არჩევნებში ხედავს აგრეთვე, ხელისუფლების „დიქტატორული“ საკონსტიტუციო უმრავლესობის დაშლის შესაძლებლობას.

14 ნოემბერს ხელისუფლების ქცევაში პარტნიორებმა დაინახეს, რომ ხელისუფლება ამ დაპირებულ „შესაძლებლობაზე“ უარს ამბობს და ფიქრობს არსებული რეალობის შენარჩუნებას (ამიტომაც ეს ტყუილი ბევრის მიერ შეფასდა „ღალატად“).

დასავლეთს არასდროს, არც ერთი ფორმის მმართველობასთან ურთიერთობაზე უარი არ უთქვამს, თუ ეს მის ინტერესებს ემთხვეოდა, მაგრამ ასევე არასდროს არავისგან არ მოუთმენია „გადაგდება“.

15-20 ნოემბერს მომხდართან დაკავშირებით კიდევ შეიძლებოდა გამოხმაურებათა თვალის მიდევნება, 21-22 ნოემბერს ეს ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

თუ კი ვინმეს შეეძლო აზრი გამოეთქვა (გარდა რუსეთის პოლიტიკური წრეებისა), ყველა საქართველოს პარლამენტის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებას აფასებს უარყოფითად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, გარდა საქართველოს პარლამენტარ დიმიტრი ხუნდაძისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისა.

23 ნოემბერს სიწყნარე იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, არა მარტო იმის გამო, რომ გიორგობა (კიდევ ერთხელ გილოცავთ!) და შაბათ-კვირა იყო!

ეტყობა, საქართველოს პარტნიორმა ქვეყნებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, საქართველოს მეგობრებმა სხვადასხვა ქვეყნებში დაამთავრეს შეფასების, რჩევისა და სიტყვის პერიოდი და აპირებენ საქმეზე გადასვლას, რაც აუცილებლად საერთაშორისო იზოლაციის რაღაც ფორმით იჩენს თავს!

ხელისუფლებამ თუ გააგრძელა ხისტი პოლიტიკა, მაშინ ასეთი იზოლაციის ზომამ და სიმძიმემ შეიძლება, საგარეო ურთიერთობების შინაარსსა და ვექტორებზეც მოახდინოს გავლენა.

ბურთი ხელისუფლების მოედანზეა!

მას შეუძლია, ერთდროულად, განმუხტოს პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყნის შიგნით და დაუბრუნდეს საქმიან ურთიერთობებს ქვეყნის გარეთ.

ისტორიის საათი ცვლილებებისთვის ჩართულია!

მიხეილ ჯიგუტი

სოსო რობაქიძე მაჩალიკაშვილს: ჭორები ბევრი გამიგია თქვენზე, მაგრამ არ მინდა, დავუჯერო...

მალხაზ მაჩალიკაშვილი სოციალურ ქსელში ბუტა რობაქიძის მკვლელობას ეხმაურება და წერს, რომ როგორც ბუტა რობაქიძე მოკლეს უმოწყალოდ, ასევე მოკლეს თემირლანი.

ამასთან, მაჩალიკაშვილმა ჟურნალისტ ელისო კილაძის ცილისმწამებლური რიტორიკა გაიმეორა და ბუტა რობაქიძის მშობლები მოკლული შვილით ვაჭრობაში დაადანაშაულა.

მოკლული ბუტა რობაქიძის მამა სოსო რობაქიძე მალხაზ მაჩალიკაშვილის ბრალდებას ასე ეხმაურება:

„აქედან მინდა მალხაზ მაჩალიკაშვილს ვუპასუხო: მალხაზ ბატონო, მე თქვენი მტერი არ ვარ. მე ვიყავი და ჩამოვედი თქვენი შვილის სამძიმარზე. ჭორები ბევრი გამიგია თქვენზეც, მაგრამ მე მაგას არც ერთ სიტყვას არ ვიჯერებ და არ მინდა, რომ დავიჯერო. მე ვიცი, ვინც დგას თქვენ უკან, ყველაზე დიდი ჭორიკანა და უზნეო ადამიანი. ხვდებით ალბათ ვინც არის“. მე გული მტკივა თქვენი შვილის ტრაგიულად დაღუპვის გამო. გაანათლოს ღმერთმა. მე მზად ვიყავი თქვენ გვერდით დავმდგარიყავი, მაგრამ თქვენ იმ ხალხთან დადექით, რომლებსაც ასობით ადამიანი ჰყავთ მოკლული და გაუპატიურებული. მე ყოველთვის ვებრძოდი მათ პატიოსნად და ახლაც ასე გავაგრძელებ მათთან შეუპოვარ ბრძოლას.

რაღაცას როცა ამბობ მალხაზ ბატონო, ადამიანს ცილს რომ სწამებ, მაშინ ფაქტებით უნდა დაამტკიცო ყველაფერი. თუ ვერ დაამტკიცებ, მოგიწევს დამტკიცება. და თუ ვერ დაამტკიცებ, აქედან გამოჩნდები საზოგადოების თვალში რა მართალი კაციც ხარ. არავისში შეგეშალო და აგერიო...

საქართველო აღარ ახსენოთ, ბილწებო!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **დიმიტრი სამხარაძე** პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩის“ მიერ ორგანიზებულ აქციას აკრიტიკებს, რომლის დროსაც „გირჩელებმა“ მსვლელობა მოაწყვეს პლაკატებით, სადაც ხატებზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის სახეა გამოსახული.

„ოეე, მავნებლებო, ფუუ, ვინც ამათ გვერდით დაუდგება, წმინდა ნიკოლოზის,წმინდა მიქაელის და თამარ მეფის ხატებს მოსჭრეს თავები და ბიძინას თავი ჩასვეს. თქვენი დედაც... საქართველო აღარ ახსენოთ, ბილწებო“, — წერს დიმიტრი სამხარაძე სოციალურ ქსელში.

დაღუპული და გზასაცდენილი, გაუნათლებელი თაობა ხართ!

ჟურნალისტი **დარეჯან ლიპარტელიანი** პოლიტიკურ ორგანიზაცია „გირჩის“ გუშინდელ აქციას სოციალურ ქსელში ეხმიანება.

„ეს გამოლენჩებული და დებილი თაობა გაადარჩენს ქვეყანას??? ეს არამზადები, ვინ გაგზარდათ, თქვე მახინჯებო, ხატებზე ხელი იმიტომ აღმართეთ, რომ დამპალ და გახრწნილ ნაციონალებს ასიამოვნოთ? როგორ არ გიტყდებათ, ასეთი უვარგისები და ნაბიჭვრები რომ ხართ? 21-ე საუკუნეში თქვენი ტოლი ბავშვები რომ ხატებისა და წმინდანების შეურაცხყოფით დაკავდებით, რაზეა ლაპარაკი... უბრალოდ, თქვენ დაღუპული და გზასაცდენილი, გაუნათლებელი თაობა ხართ, ვისაც სწავლა-განათლება სირცხვილად მიგაჩნიათ და წმინდანების შეურაცხყოფა — გმირობად...სირცხვილი თქვენ და თქვენს მშობლებს, ასეთი ნაგვები რომ გაგზარდათ....დღეიდან თქვენი ნამოქმედარის მართლა გეშინოდეთ“.

ამიტომაც შეგარქვათ ხალხმა „დემოტრაკი ნაც-ანალები“...

„თავისუფლებისმოყვარე“ და „დემოკრატი“ ნაცანალები სად იყვნენ მაშინ, მათი გიმელი სააკაშვილი, ავტორიტარიზმის (ხალხს ეკალ-ბარდ) და მიНასთვის-ვარდოვან გზაზე, ძალაუფლების გასაძლიერებლად კონსტიტუციას რომ ჭრიდა-კერავდა სათავისოდ და ფარა-ცხვრები ერთხმად რომ იღებდნენ მის სასარგებლოდ კანონებს?!

გაიხსენეთ, ჯერ პრეზიდეტის უფლებები რამდენჯერ გაიზარდა და მერე, პუტინივით რომ აპირებდა პრემიერობას, ორი ვადის შემდეგ, პრემიერ-მინისტრის უფლებები როგორ გაზარდა და სადამდე დააკნინა პრეზიდენტის ინსტიტუტი, ძალაუფლების ფორმალური გამყოფიც რომ არ ჰყოლოდა?!

კონსტიტუციონალისტებო, კანონმდებლებო, ზოგადად იურისტებო, სად ხართ, რამდენჯერ და როგორ შეიცვალა კანონები სააკაშვილის და მმართველი ხროვის სასარგებლოდ,.. დაწერეთ, ჩამოვთვალოთ, გამეორება დაბინდულ მეხსიერებას ავარჯიშებსო, მსმენია...

P. S. სხვათა შორის, ამიტომაც შეგარქვათ ხალხმა დემოტრაკი ნაც-ანალები“ — წერს **მანჩო გიორგობიანი** სოციალურ ქსელში.

„ჯორჯიან თაიმსის“ XX საიუბილეო ბიზნეს რეიტინგის საზეიმო დაჯილდოება

27 ნოემბერს, 20:30 საათზე, მედიაჰოლდინგი **„ჯორჯიან თაიმსი“** და **„გორბი“** ბიზნეს რეიტინგის **მე-20** საიუბილეო გრანდიოზულ, საზეიმო ცერემონიალს **„შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“** გამართავენ. ტრადიციულად, გალა საღამოზე წლის საუკეთესო კომპანიები და ბიზნესმენები გამოვლინდებიან. რჩეულთა შორის რჩეულს კი, თავად ბიზნესმენები აირჩევენ, ხოლო, წლის საუკეთესო ინვესტორს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს. ტრადიციულად მედიისა და საზოგადოების თანდასწრებით, ექსპერტების მიერ შერჩეული საუკეთესო კომპანიები დასახელდება.

წელს XX საიუბილეო ბიზნეს რეიტინგის სპონსორები არიან: პეტროკას ენერჯი ჯგუფი; არემჯი; ზარაფხანა; სოკარ ენერჯი ჯორჯიას ჰოლდინგი; სენა აუტო ჯგუფი; ჯორჯიან პროდაქტსი;

წლის ბიზნეს რეიტინგის რჩეული კომპანიებია

ავერსი; ასკანელი ძმები; გეოპლანტი/გურიელი; MMT ჰოსპიტალი; ენ სი სი; ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი; ვისოლ ჯგუფი; კავკასიის ავტოიმპორტი; მენეჯმენტის სისტემები; ორბი ჯგუფი; PSP ჯგუფი; სანო სტუდია; საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი; ტოიოტა ცენტრი თბილისი; თელიანი ველი ქინძმარაულის მარანი; შუხმან ვაინს ჯორჯია; ჯორჯიან მანგანეზი; ჯორჯიან ექსპრესი DHL.

წლის რჩეული ინვესტორებია

აი გრუპი — კახაბერ გულედანი. კარდანახის ღვინის ქარხანა №1 — ივანე გაგუა; ეკატერინეს სასახლე ლისზე — თეონა ზაქრაძე; სევსამორა რეზორტი და სპა — გიორგი გაგუა; გეოპროვიჟენ — ლევან ვაჩნაძე;

ბიზნეს რეიტინგის ღონისძიების ფარგლებში წელს უკვე მეოთხედ დაჯილდოვდებიან საუკეთესო ინვესტორები. Investment Award — კვლავ წლის საუკეთესო ინვესტორებს და საინვესტიციო პროექტებს გამოავლენს. საუკეთესოთა შორის საუკეთესოს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს. **Investment Award-ის** მიზანია, წარმოაჩინოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ინვესტორებს, საინვესტიციო პროექტებს, რომლებიც უკვე განხორციელდა, ან მიმდინარეა და ჯერ არ დასრულებულა.

ბიზნეს რეიტინგის მხარდამჭერებია:

ქალაქ თბილისის მერია; ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა; საერთაშორისო სავაჭრო პალატა; საპარტნიორო ფონდი; ამერიკის სავაჭრო პალატა.

ღონისძიების მედიამხარდამჭერია ძართული მედიის ფაქტობრივად სრული სპექტრი:

საზოგადოებრივი მაუწყებელი; იმედი; რუსთავი-2; ფორმულა; ტვ პირველი; პალიტრა ნიუსი; ობიექტივი; სტარვიზია; მუზიკბოქსი; რადიო ჰოლდინგი ფორტუნა; თბილისელები; ჯორჯიან თაიმსი; კავკასიან ბიზნეს ვიკი; რეზონანსი; პრაიმთაიმი; ბანკები და ფინანსები, სვობოდნაია გრუზია; ვერსია; ქართული აზრი; საქართველოს რესპუბლიკა; BM.ge; Geotimes.ge; Award.com.ge; Kvira.ge; Georgianpress.ge; For.ge; Liderinfo.ge; NewsDay.ge; Reportiori.ge; Faxinternews.ge; Metronome.ge; imer.ge; Fact@.ge; Firstnews.ge.

ტრადიციისამებრ დაჯილდოვდება მედია. ასევე გამოვლინდება მედიის რჩეული ბიზნესმენი და ბიზნესმენების რჩეული მედია.

ღონისძიებას ასევე მუდმივად ესწრება უმსხვილესი ქართული და უცხოური ბიზნეს კომპანიების ტოპ მენეჯმენტი, საპატიო სტუმრები უცხოეთიდან, ქართული კინოს, თეატრისა და შოუბიზნესის ვარსკვლავები.

ნუ აფინანსებთ ოპოზიციას!..

შვედეთისა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან, ან ლინდესა და პეკე ჰაავისტოსთან შეხვედრაზე ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ბელარუსის ოპოზიციას ლიეტუვისა და პოლონეთის გავლით აშშ-ი და გერმანია აფინანსებენ.

ალექსანდრ ლუკაშენკომ ან ლინდესა და პეკე ჰაავისტოს განუმარტა, თუ რატომ ვერ მოხვდნენ ოპოზიციონერები პარლამენტში არჩევნების შედეგად.

„მათ იკითხეს, რატომ არ არიან პროდასავლელი ოპოზიციონერები? ადრე სამი ადამიანი იყო, ახლა არც ერთი. მიზეზი ჩემში არ არის. თუ ხალხი მხარს არ უჭერს, მე რა შემიძლია გავაკეთო? მე გეუბნებით, ნუ აფინანსებთ მათ. ბევრი ფული შემოდის, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ. რასაც ვერ ვხედავთ, იმას რუსები გვეტყვიან. ისინი კარგად ცხოვრობენ. რად უნდათ მათ ეს ძალაუფლება, თავის ტკივილი?“, — აღნიშნა ალექსანდრ ლუკაშენკომ.

შეთანხმდნენ სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებაზე

აშშ და ბულგარეთი სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ ბოიკო ბორისოვის ერთობლივ განცხადებაშია საუბარი. დონალდ ტრამპმა და ბოიკო ბორისოვმა შეხვედრა თეთრ სახლში გამართეს. მათ განცხადებაში აღნიშნულია, რომ აშშ და ბულგარეთი გეგმავენ, გააძლიერონ პარტნიორობა თავდაცვის ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის მიმართულებით, მათ შორის — „რეგიონული შეკავებისთვის“.

გარდა ამისა, მხარეები ასევე ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. „აშშ აპირებს, ბულგარეთში გაგზავნოს სპეციალისტების ჯგუფი ბულგარელ პარტნიორებთან ერთად სამუშაოდ, რომ შესწავლილი იყოს ენერგეტიკის სხვადასხვა, მათ შორის ბირთვულ სფეროში, თანამშრომლობის შესაძლებლობები“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ნატო ევროპის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია

რუსეთის სამხედრო პოტენციალის ზრდის ფონზე, ნატო ევროპის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია — აცხადენს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი.

„ჩვენ ვთანხმდებით, რომ ნატო ევროპის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია. ჩვენი ძალები ეწინააღმდეგებიან კონფლიქტებს და მშვიდობის შენარჩუნებისთვის ზრუნავენ“, — თქვა სტოლტენბერგმა ლატვიის პრეზიდენტთან ბრიუსელში გამართული შეხვედრის შემდეგ. მისივე თქმით, ლონდონში დაგეგმილ სამიტზე განხილვის მთავარი საგანი, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის „ერთიანი მიდგომის“ საკითხი იქნება.

„ჩვენ განვიხილავთ ჩვენს ერთიანობას და ჩვენს საერთო მიდგომას ლონდონის სამიტზე“, — განაცხადა სტოლტენბერგმა. ნატოს ლიდერების შეხვედრა ბრიტანეთის დედაქალაქში 3-4 დეკემბერს გაიმართება.

საერთაშორისო დღე დარბევით დასრულდა

პოლიციამ სტამბოლში ქალების უფლებებისთვის გამართული მასშტაბური აქცია დაშალა. დემონსტრაციის მონაწილეებმა თავდაპირველად მსვლელობა გამართეს და ქალებისთვის უფრო მეტი უფლების მინიჭება მოითხოვეს. აქციაში დაახლოებით 2 000 ადამიანი მონაწილეობდა. პოლიციამ მათ დასაშლელად ცრემლმდენი გაზი და პლასტმასის ტყვიები გამოიყენა.

თურქი უფლებადამცველების მონაცემებით, 2019 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში 378 ქალი მოკლეს, გასულ წელს კი — 440. სტამბოლის პარალელურად ქალების წინააღმდეგ ძალადობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გააპროტესტეს. აქციები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

მიმდინარე წელს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საფრანგეთის სააზიო საზოგადოების, საერთაშორისო მუზეუმების საბჭოსა და სსრ კავშირის მუზეუმების ეროვნული კომიტეტის ნამდვილ წევრს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგეს, ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა მრავალი თაობის აღმზრდელს, პროფესორ შალვა ამირანაშვილს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა.

შალვა ამირანაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება, ნიჭი და ენერგია საქართველოს უანგარო სამსახურს მიუძღვნა. მრავალმხრივმა და ფართო დიაპაზონის მკვლევარმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას და განსაკუთრებით ხელოვნებათმცოდნეობას. იგი ხელოვნების ისტორიას განიხილავდა, როგორც ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის განუყოფელ ნაწილს. არკვევდა ქართულ თვითმყოფად კულტურაში მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების კულტურის გავლენისა და ინფილტრაციის საკითხებს. ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით საქართველოში მან პირველმა განიხილა არქეოლოგიური გათხრების დროს საქართველოში აღმოჩენილი ქრისტიანობამდელი ეპოქების ძეგლები. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავდა აგრეთვე სლავური ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, დასავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს.

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი

120

შალვა ამირანაშვილი დაიბადა 1899 წ. 26 მარტს ქ. ონში, პედაგოგის ოჯახში. საშუალო განათლება ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, რომელიც 1917 წელს დაამთავრა. გიმნაზიაში სწავლის დროს მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ფოთის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომლებიც ქალაქის აღორძინების მიზნით, ცნობილი მამულიშვილის, ქალაქის თავის ნიკო ნიკოლაძის მიერ მიწვეულნი იყვნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსეთიდან და ევროპიდან.

უნივერსიტეტში სწავლის დროს (1918-1922 წ. წ.) შ. ამირანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველი ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლას. ის ფლობდა სპარსულს, არაბულს, ასირიულს, ფრანგულს, ძველ ბერძნულს, ლათინურს, არამეულს, ებრაულს, ძველ სომხურს, რუსულსა და სხვა ენებს. მისმა პედაგოგებმა, ქართული მეცნიერების კორიფეებმა, უდავოდ დიდი როლი შეასრულეს მეცნიერად მის ჩამოყალიბებაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის წარდგინებით შალვა ამირანაშვილი ხელოვნებათმცოდნეობის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია თბილისს უტევდა. დადგა საქართველოს კულტურული განძეულის, რომელიც ინახებოდა სხვადასხვა მუზეუმებსა და დაწესებულებებში, გახიზვნისა და გადარჩენის საკითხი. რესპუბლიკის მთავრობამ ეს საქმე ექვთიმე თაყაიშვილს დაავალა. შალვა ამირანაშვილს დაეკისრა კომისიის მდივნობა.

ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით ცოდნის გასაღრმავებლად 1923 წ. შალვა ამირანაშვილი მივლინებულ იქნა მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც ბიზანტიურ, ძველ რუსულ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებას იმ ეპოქის ცნობილი სპეციალისტების პროფესორების დ. აინალოვის, ბ. ფარმაკოვსკის, ლ. მაცულევიჩის, ნ. სიჩოვის, აკად. ი. ორბელის და სხვათა ხელმძღვანელობით სწავლობდა.

იმავე წელს შ. ამირანაშვილმა, როგორც ხელოვნებათმცოდნე ექსპერტმა, მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის მუშაობაში (კომისიის თავმჯდომარე დამიანე ჯგუშია, წევრები საქართველოს მხრიდან ნ. ჟორდანია, აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე და სხვ.), რომელსაც დაევალა რუსეთში ცარიზმის დროს გატანილი საქართველოს კუთვნილი განძეულის (ხელნაწერები, ოქრომჭედლობის ძეგლები, სტელები, არქეოლოგიური ნივთები და სხვ.) აღწერა-დაბრუნება.

მის მოვალეობას წარმოადგენდა სადავო ძეგლების, კერძოდ კი საქართველოდან გატანილი ბიზანტიური ხელოვნის ნიმუშად მიჩნეული ძეგლების, ქართული წარმომავლობის მეცნიერული დამტკიცება, რაც სულ ახალგაზრდა მეცნიერის მიერ წარმატებულად იქნა განხორციელებული. საქართველოსთვის დასაბრუნებელი განძეულისთვის გამოიყო რკინიგზის ვაგონი, რომელსაც შ. ამირანაშვილი გამოჰყვა როგორც რწმუნებული და მცველი. იმ დროის ძალიან არეულ და საშიშ პერიოდში, თითქმის დაუცველი განძის ასე წამოღება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. თავისი გამჭრიახობით, მოიფიქრა და ვაგონს თეთრი საღებავით, დიდი ასოებით დააწერა: „В вагоне тифозные“ (რაც იმ პერიოდში, შავი ჭირის შემდეგ, ყველაზე საშიში გადამდები და სასიკვდილო დაავადება იყო) და 24 წლის ყმაწვილმა მშვიდობიანად ჩამოიტანა განძი თბილისში.

1925 წლიდან 1932 წლამდე შ. ამირანაშვილი იყო თსუ და სამხატვრო აკადემიის დოცენტი, 1932 წ. თბილისის უნივერსიტეტში აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე. სტუდენტობის პერიოდიდან მან დაიწყო ძველი ქართული კედლის მხატვრობის შესწავლა. ჯერ კიდევ 1927 წელს შ. ამირანაშვილი აქვეყნებს ნარკვევს „ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის“, ხოლო 1929 წელს მონოგრაფიას — „უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის“. აღნიშნულ ნაშრომს სამეცნიერო წრეებმა მაღალი შეფასება მისცეს და 1936 წლის 21 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო სხდომაზე წარმატებით დაიცვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მისი ოფიციალური ოპონენტები იყვნენ გ. ჩუბინაშვილი და ალ. დუდუჩავა. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაცულ იქნა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში. იმავე წელს შალვა ამირანაშვილს დაუმტკიცეს პროფესორის წოდებაც. აღნიშნული შრომები ქართული კედლის მხატვრობის ძეგლების შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. ამ მიმართულებით კვლევა მან განაზოგადა კაპიტალურ ნაშრომში: „История грузинской монументальной живописи“, რომელიც გამოვიდა 1957 წელს.

შ. ამირანაშვილი 1937 წ. დაინიშნა „ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულ კულტურის ძეგლთა დაცვის“ განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1932-1952 წლებში იყო თსუ ხელოვნებათმცოდნეობის, ხოლო 1958 წლიდან გარდაცვალებამდე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე. 1953-1957 წლებში ხელმძღვანელობდა ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის გაერთიანებულ კათედრას. 1932-1954 წლებში იყო სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე და დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნების კათედრის ხელმძღვანელი.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ადრე „მეტეხი“) შ. ამირანაშვილი 1934-1937 წწ. აღმოსავლეთის განყოფილების, 1937-1939 წწ. კი ფერწერის განყოფილების გამგეა. 1939 წლის 21 აპრილს დაინიშნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორად. ამავე დროს 1943 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსაც.

1937 წელს გამოდის ქართულ, ხოლო 1940 წელს რუსულ ენაზე შ. ამირანაშვილის მონოგრაფია „ბექა ოპიზარი“. იმავე წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა შ. ამირანაშვილის „ირანის დაზგური ფერწერა“ და 1941 წელს „ირანული ფერწერა“, რომელშიც განხილულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ირანული კედლის მხატვრობის „ყაჯარული“ ნიმუშები.

1944 წლის დეკემბერში შალვა ამირანაშვილი მივლინებულ იქნა საფრანგეთში გახიზნული ეროვნული განძის მისაღებად და ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად 1945 წლის 12 აპრილს ეს განძი სამშობლოს დაუბრუნდა.

ორი ათეული წლის მეცნიერული შრომა შეჯამდა 1944 წელს გამოსულ კაპიტალურ ნაშრომში „ქართული ხელოვნების ისტორია“, ტ. I, რომელშიც ნაჩვენებია ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარება უძველესი ეპოქიდან არაბთა შემოსევამდე. მასში განხილულია წინაქრისტიანული ქართული ხელოვნების მანამდე უცნობი მრავალი ძეგლი. 1961 და 1971 წლებში ქართულად გამოქვეყნდა განახლებული და გავრცობილი „ქართული ხელოვნების ისტორია“. აქ ქართული ხელოვნება წარმოჩენილია პალეოლითის ხანიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. 1950 და 1963 წლებში მოსკოვში რუსულ ენაზე გამოდის „ქართული ხელოვნების ისტორია“, ხოლო 1973 წელს პოლონეთში 575-გვერდიანი ქართული ხელოვნების ისტორია — „Sztuka Gruzinska“.

შ. ამირანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართულ მინანქარს. 1961 წელს პარიზში გამოიცა შ. ამირანაშვილის „ქართული მინანქარი“. 1963 წელს გამოდის ამ შრომის იტალიური, ხოლო 1965 წელს ამერიკული გამოცემები. ეს იყო პირველი პუბლიკაცია ევროპულ ენებზე, რაც ქართული ხელოვნების ძეგლების თანამედროვე მსოფლიო ასპარეზზე გასვლას ნიშნავდა. შ. ამირანაშვილი იყო პირველი, ვინც დაასაბუთა ქართული მინანქრის ორიგინალურობა და ადგილობრივი წარმოება. წიგნში განხილულია მინანქრის დამზადების რთული ტექნოლოგია, განსაზღვრულია მათი ადგილი მსოფლიო ოქრომჭედლობის ისტორიაში. 1971 წელს ჩეხოსლოვაკიაში ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ჩეხურ ენებზე გამოიცა შ. ამირანაშვილის „ქართული მხატვრული ლითონქანდაკება (ანტიკური პერიოდიდან XVII საუკუნის ჩათვლით)“.

მეცნიერის ინტერესები არ იფარგლებოდა მხოლოდ ქართული ხელოვნებით. იგი ბიზანტიური და ძველი რუსული ხელოვნების მეცნიერულად შესასწავლად ბევრს მუშაობდა. აღსანიშნავია რუსული ხელოვნების ძეგლის ნერედიცას ფრესკისადმი მიძღვნილი მისი სტატია, გამოცემული 1932 წელს ფრანგულად, რომელიც ფაქტიურად პირველი წყაროს მნიშვნელობისაა, რადგანაც ნერედიცას ეკლესია მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად დაინგრა. მისი უკანასკნელი შრომები ძველი ქართული ხელოვნების თვალსაჩინო ძეგლებს მიეძღვნა. 1972 წ. დაისტამბა „ხახულის კარედი“, ხოლო 1974 წ. — „ქართველი მხატვარი დამიანე“.

შალვა ამირანაშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოში არქეოლოგიის განვითარებას. მისი მეცნიერული თვალსაწიერი მოიცავდა ფართო პერიოდებს, დაწყებული ადრეული ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით და არჩევდა შესასწავლად საეტაპო ძეგლებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მან ხელოვნების მუზეუმში დააარსა არქეოლოგიის განყოფილება.

შ. ამირანაშვილი ხელოვნების მუზეუმში მრავალი გამოფენის ავტორი და სულისჩამდგმელი იყო. მისი თაოსნობით ეწყობოდა უცხო ქვეყნების კულტურული ძეგლების გამოფენები, აგრეთვე საქართველოს მხატვრებისა თუ მოქანდაკეების პერსონალური და თემატური გამოფენები. აღსანიშნავია რეპრესირებული მხატვრის დიმიტრი შევარდნაძის პერსონალური გამოფენის მოწყობა. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების მსოფლიოს ასპარეზზე გატანაში. ევროპის მრავალ ქვეყანაში მოეწყო მის მიერ ინიცირებული ნ. ფიროსმანაშვილის გამოფენები: საფრანგეთში ლუვრის დარბაზებში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და სხვაგან.

მისი შრომა ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო მედლებითა და ორდენებით, მათ შორის აღსანიშნავია 1946 წელს მიღებული შრომის წითელი დროშის ორდენი და 1954 წელს კი უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

მუზეუმის უსაზღვრო სიყვარულზე, მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს მუზეუმის არქივში დაცული თითოეული საბუთი. ისინი ნათლად ასახავს იმ მძიმე შრომას, რომელიც მან გასწია.

1990 წ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმს აკადემიკოს შ. ამირანაშვილის სახელი მიენიჭა, რაც მეცნიერულ მემკვიდრეობასთან ერთად საწინდარია იმისა, რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მორალურად გახრწნილი

როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ მედია-ვარსკვლავიც სირცხვილზე საუბრობს, აუცილებელია ბევრი რამის გახსენება

„ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა განშტოებებზე პოზიციონირებული სუბიექტები რომ თავს უფლებას აძლევენ, მორალის თვალსაწიერიდან ისაუბრონ, ეს უკვე სრულიად ახალი დრამატურგიული ჟანრია, ტრაგიკომედიისა და სატირის მიღმაა“, — ამბობს თავის ვიდეობლოგში ინტერნეტტელევიზია „POSTV“-ის ანალიტიკოსი **ბაჩო ოდიშარია**, რომელიც ბერა ივანიშვილის მიმართ ჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანის მიმართვას ეხმიანება.

„ელენ დეჯენერესის დერმატინის ვერსიამ, ნანუკა ჟორჟოლიანმა მორალური უპირატესობის და უტიფრობის გრძნობით აღვსილი მიმართვა გამოაცხო ბერა ივანიშვილის მისამართით, 2012-ში ბიძინა ივანიშვილის კამპანიის სახე იყავი და დღეს არ გიტყდებაო? სწორედ იმ ნანუკა ჟორჟოლიანმა, ვინც 2011 წელს ბიძინას ოცნებების აღმსრულებელს და მთელი ქვეყნის მამას უწოდებდა, მისი ბევრი გაკეთებული საქმე და სიკეთე ახსოვდა და აღნიშნავდა, რომ მისი აშენებული ერთი სამებაც გადაფარავდა ყველაფერს. თუმცა როდესაც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა დააანონსა, ნანუკამ დაქოქა გაშავების მანქანა და ქება ლანძღვით ჩაანაცვლა“...

მართალია, წარსულის მივიწყება და იგნორირება მათი მთავარი სტრატეგიაა, მაგრამ დღეს ის დრო აღარ არის, როდესაც შეეძლოთ, მათთვის არასასურველი ინფორმაცია გაექროთ მედიიდან და ადამიანები დაეშინებინათ, რომ ნანახი თუ გაგონილი, არსად ეთქვათ.

„მაგალითად, როდესაც სააკაშვილს გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით პატიმრობა მიესაჯა, ჩინურმა ელენმა პოლიტიკურად მოტივირებული დებილები უწოდა მოსამართლეებს და საერთოდ არ უგრძნია სირცხვილი. ნუ თავად გირგვლიანის შეკვეთილი მკვლელობა რომ არ შერცხვენია, მაგაზე აღარც ღირს საუბარი, რატომღაც არასოდეს მიუწვევია საკუთარ გადაცემებში სანდროს დედა ირინა ენუქიძე, არასოდეს გასჩენია თანაგრძნობა და დაინტერესებულა მისი სიმართლის დადგენით.

2000-ანების თაობამ შეიძლება არ იცით, მაგრამ პირადად მე, ქალბატონი ნანუკას არსებობა იმ ამბით შევიტყვე, როდესაც ქალაქში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასთან ღამით მობილურზე შემთხვევით დარეკვის გამო, ზარის განმახორციელებელი ბიჭი ნანუკას ყოფილი ქმრის, ნაცების რეჟიმის სოდის დირექტორი ერეკლე კოდუას ბრძანებით გაიტაცეს, სასტიკად სცემეს, ციხეში ჩასვეს და მერე პირობითით გამოუშვეს. ეს რაიმე ურბანული ლეგენდა არაა, სახალხო დამცველის მიერ დოკუმენტურად დამტკიცებული ფაქტია.

ნანუკას არ უგრძნია სირცხვილი ნავთლუღის სპეცოპერაციისას 17, 21 და 23 წლის ახალგაზრდა ბიჭების განსაკუთრებული სისასტიკით დახოცვის ფაქტზე, 2006 წელს. ამავე წელს, „დინამოს“ კორტებთან 22 წლის ზურა ვაზაგაშვილის და დიდუბის ეკლესიასთან 19 წლის ბუტა რობაქიძის ჩაცხრილვის ფაქტზეც, როგორც ჩანს, არ „შემოწოლია“ არანაირი დისკომფორტი, არც იმ ფაქტზე, რომ ამ მკვლელობებს, მედია, რომელშიც მუშაობდა, აპრავებდა როგორც ყაჩაღებზე განხორციელებულ სპეცოპერაციას.

არ შერცხვა, როცა 2005 წლის 14 ივლისს ერეკლე კოდუა თავისი შეიარაღებული ოპერატიული თანამშრომლებით თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებით მოქმედმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებით და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანიდან თანმხლებ პირებთან ერთად გადმოიყვანეს ვალერი გელაშვილი, ასფალტზე დააწვინეს და იარაღის კონდახებით სასტიკად სცემეს.

არ შერცხვენია არც იმ კადრებზე, სადაც პირდაპირ ჩანს მისი ყოფილი ქმარი და სხვა თანამშრომლები როგორ იწყებენ ვანო მერაბიშვილის გაცემული ბრძანების შემდეგ ორი გვამის ძებნას მაღალი პრემიებით შეგულიანებულნი.

არც მაშინ შერცხვა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ გამომცემლობა „სამშობლოდან“ 30-ზე მეტი რედაქცია გამოყარა, ტელეკომპანია „იმედი“ დაარბია, არ ჩაუთვლია მედიაზე თავდასხმად. არც „იმედის“ მფლობელის ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკურ დევნაზე გამოუხატავს აღშფოთება, პირიქით, როდესაც „იმედი“ პატარკაციშვილის ოჯახს შუაღამისას ძალით გადაფორმებული დოკუმენტებით წაართვეს, მას მცირედი დისკომფორტიც არ გაუჩნდა და არხის მთავარი სახე გახდა, მაროდიორივით, გარდაცვლილის გაძარცვით მიღებული პოსტით, მორალურად გახრწნილი ჟურნალისტის ცნობიერებით, გადაცემის ეთერიდან ბულვარულ თემებს და ქართული ელიტის ყოველდღიურობას განიხილავდა თეთრებში გამოწყობილი.

დღეს ნანუკა ჩინური „რუსთავი ორის“ ეთერში პროფკავშირებზე აკეთებს გადაცემას და გაჭირვებულ მუშათა კლასზე შეწუხებული სახით საუბრობს, თუმცა წინა მთავრობის დროს მსგავსი საკითხები არასოდეს გახსენებია, არც შრომის ინსპექციის გაუქმებას შეუშფოთებია, არც პროფკავშირების დევნას.

მას არ გაუპროტესტებია და არც სირცხვილი უგრძნია 2009 წლის 15 ივნისს მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკ, გაუფრთხილებელ დარბევაზე, როდესაც ჟურნალისტებიც უმოწყალოდ სცემეს, აპარატურა დაუმტვრიეს და კადრები წაუშალეს, რაზეც პროტესტის ნიშნად „მაესტრომ“ და კავკასიამ მაუწყებლობა შეწყვიტა. არ შერცხვენია საკუთარი პროფესიის დევნა და უზურპაცია.

მას არ შერცხვა არც 7 ნოემბერს, არც 26 მაისს, არც იმ ფოტოების ნახვის შემდეგ, სადაც დარბეული და ბორკილებდადებული ხალხი საკუთარი სისხლის გუბეში წევს ტროტუარებზე..., არც იმ ფაქტის შერცხვა, როდესაც ამ კადრების გადამღები ფოტორეპორტიორები შეთითხნილი რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. არ რცხვენოდა მაშინ, როდესაც სოდის დახმარებით ძალიან ბევრ ადამიანს კერძო საკუთრებას ართმევდნენ, სახლებს, მანქანებს, ბიზნესებს აწერდნენ. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ, აქტიურ ადამიანებს მისი ქმარი და სოდი რომ წამალს უდებდა და აკავებდა, როდესაც ადამიანებს კოჭავდნენ და ძალით უკეთებდნენ ნარკოტიკს რომ ასე დაემტკიცებინათ ბრალეულობა, არც მაშინ რცხვენოდა, არც ციხეში სისტემური ხასიათის წამების და გაუპატიურების ფაქტების შერცხვენია.

თუმცა, მიშისტებს, ზოგადად, სირცხვილის გრძნობა ანულირებული აქვთ, სხვაგვარად, თუ რაიმე მორალური კომპასი , შინაგანი ეთიკა, ძალადობაზე მგრძნობელობა გაგაჩნია, მიშისტი ვერ იქნები. ნანუკა ჟორჟოლიანი კი მიშიზმის მედიაპროპაგანდის ემბლემური ნიმუშია, ამიტომ, უადგილოც იქნება, მისგან რომ სირცხვილის გრძნობის არსებობა მოვითხოვოთ“...

ბაჩო ოდიშარია,
„POSTV“-ის ანალიტიკოსი

„ფოტოებზეა მიშას მესიჯბოქსი, ქ-ნი ნანული ჟორჟოლიანის შესაბამისი გზავნილი - ივნისის პროტესტი

„დღის შემაჯამებელი პირადი მოსაზრებები:

1. ხაზგასმულად ყველგან საჯაროდ ვამბობ — პროტესტი სამართლიანია, მაგრამ როგორც კი დაიწყებენ დეპუტატებისა და პარლამენტის თანამშრომლების მათ სამსახურში მისვლის, გადაადგილების შეზღუდვას, ეს უკანონოა და პოლიციის ძალით აღსაკვეთია!

2. ნაცსექტის მესიჯია, რომ „ვარდების რევოლუციაზე“ მეტი პროტესტის გამომხატველია და პარლამენტის ბლოკირება სამართლიანია. ვრცელდება მიშას განცხადებები, ივნისის ფოტოებით ნოემბრის პროტესტად გასაღება, სუბიექტური ტელეარხების მიერ ხულიგანი МГИМО-ელი ელენე ხოშტარიას პოლიციის მანქანის „კაპოტზე“ შეხტომა როგორც მისი დაკავება, პოლიციის მიერ შეშისა და კასრების ჩამორთმევა, როგორც პოლიციური ტერორი (ერთი გაბედონ და შეშა და კასრები მიიტანონ უესტმინსტერის სასახლესთან).

3. ტემპერეტურის მაქსიმალურად აწევის უშედეგო მცდელობა — ევროპარლამენტი დაგმობს (შესაძლოა, ცალკეული ევროპარლამენტარები), ეგ არაფერს ცვლის.

4. ჯერ არ გვინახავს OSCE/ODIHR ანდა ვენეციის კომისიის მოსაზრებები „გერმანული მოდელის“ მიღება-მიუღებლობაზე.

5. სექტა ვითომ არ იმჩნევს და მოუწევს, ეს საარჩევნო სისტემა ადარდებს?.. გასული კვირის ტელერეიტინგები ვნახე, არ გავაპიარებ, არ მევასება ეგ გადაცემა და თურმე ეგ და კიდევ სხვა მსგავსი ყვითელნი რეიტინგებში უსწრებენ პოლიტიკურ თოქშოუებსა და საინფორმაციოებს.

როგორც იტყვიან, ვნახოთ/Remains to be seen...

გია აბაშიძე, ანალიტიკოსი

IRI-ის თავმჯდომარის მოადგილე რენდი შოინემანის ნაცების 2004 წლიდან დადასტურებულ ლობისტობაზე პასუხის გაცემა.მის PR-კომპანია Orion Strategies ადრე მილიონებს უხდიდნენ, ბოლო, 2019 წ. ოქტომბრის კონტრაქტით კი,1წელიწადში $250.000 უნდა გადაუხადონ შეკვეთილ კომენტარებსა და კოლექტიურ დეივიდ კრემერებში (IRI-ის ბორდის წევრი). ამ კონტრაქტით სექტაში მოიაზრება,რომ 2020-ის ოქტომბერში არჩევნებია.

6. საზოგადოების დიდ ნაწილს

P.S. **ფოტოებზეა** მიშას მესიჯბოქსი, ქ-ნი ნანული ჟორჟოლიანის შესაბამისი გზავნილი — ივნისის პროტესტის ფოტო ამ ყინვაში მოკლემკლავებიანნი) გასაღებული როგორც 25 ნოემბრის და „ელონ მასკის კოსმოსური დრონებიდან“ დანახული რუსთაველის გამზირი“ — წერს აბაშიძე სოციალურ ქსელში.

„მზისშვილი“ და მზისშვილობა

სასურველი **კანონზომიერებაა, რომ როსტომ ჩხეიძეს ერგო წილად დაეწერა „მზისშვილი“. ზოგჯერ სინამდვილე, რეალობა წარმოდგება ისეთი სახით, რომ სიტყვას ენიჭება ფუნქცია, იგრძნობოდეს მითოსის საბურველში. ამით მწერალი ქმნის თავისებურ სტილს, რომელიც იგრძნობა მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვა საოცარი გამჭვირვალობით წარმოაჩენს ამა თუ იმ პერსონაჟის სახეს, ოღონდ ამ გამჭვირვალობამ არ შეგვაცდინოს, რადგან მის მიღმა ბევრი რამ ესთეტიკის კუთვნილებაა, რომელიც მითოსური სამყაროთი საცნაურდება.**

მოვიხმობ ერთ ეპიზოდს. „გრაალის მცველში“ გვხვდება ასეთი შესიტყვობანი: **„თვალი ჩასულა მტევანში“. „ეს მეტაფორა აქ ცნაურდება თაურად, რომანის „ენგადად“, წყაროთა თვლად. იმ ვაზის ლერწებიდან, რომელთაც ეს „მტევანი“ გამოესხათ, ქალწულ ნინოს ჯვარი გამოეჭრა და თავისი თმით შეეხვია. და აი მითოსური წვეთი: ჟამსა ბედისა თავსატეხისა ვაზის ჯვარს მტევნები გამოეღო. ზედაშე ამ მტევნებისა რაინდებს შეენახათ თასით: „გრაალით“: საქართველოს გულით“** („მზისშვილი“, 578. 2018).

საგნებს, მოვლენებს ათასგვარი რამ აკავშირებს ერთმანეთთან. აქ კი ასეთია ეს კავშირი: ვაზი – მტევანი – თმა – ზედაშე – თასი. რა შეიძლება ჰქონდეთ მათ საერთო? მხოლოდ ერთადერთი რამ – მითოსური ესთეტიკა. „თუკი ესთეტიკას შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს ეგრერიგად დაშორებული მოვლენები, მაშინ მთელი სამყაროც ერთიანი ყოფილა“ (რევაზ **სირაძე,** სახისმეტყველება, 25.1982).

როსტომ ჩხეიძის „მზისშვილი“ ამდაგვარ საკითხებზე გვაფიქრებს. ბევრს მასში შეუძლია ამოიკითხოს გრიგოლ რობაქიძის გამართლების ერთგვარი ცდა იმ წიგნაკების გამო, რომელიც ჰიტლერსა და მუსოლინის მიუძღვნა. თუმცა მთავარი მაინც ისაა, თუ როგორაა დანახული და დაძლეული ესა თუ ის აზრი. ამიტომ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შეფასებისას მთავარი მითოსური სახისმეტყველებაა.

ქების სხვადასხვა ფორმა არსებობს. იყო დრო, როცა გიორგი მთაწმინდელს ასე მიმართავდნენ: მართალია, წარმოშობით ქართველი ხარ, მაგრამ ბერძენს ჰგავხარო. გრიგოლ რობაქიძესაც ამისდაგვარს ეუბნებოდნენ. მისი ინდივიდუალური მითოსური აზროვნება ევროპელთათვისაც უცხო იყო. ეს ეამაყებოდა კიდეც, რადგან თავისთავადობაში ხედავდა ერის მთავარ საზრისს.

„მზისშვილი“ მითოსური სახეებით აღსაქმელი რომანია. ამაზე სათაურიც მიგვანიშნებს. ბევრი რამ გაუგებარი დარჩება, თუ „მზისშვილში“ თავად გრიგოლ რობაქიძეს ვერ დავინახავთ. უფრო სწორად „მზისშვილს“ ახლავს გრიგოლ რობაქიძე, იგია მზისშვილი. აქ ყველაფერი მითოსური ესთეტიკის სურნელებითაა გამოვლენილი. მითოსმა დიდი მოულოდნელობა და სიხარული იცის. აკი წერს კიდეც როსტომ ჩხეიძე: **„მითოსური დრო ეს არის სულიერების სათავე. ამიტომაც ნატრულობდა მცხეთაში გაეხსენებინათ მისი სახელი, რადგან ეს ქალაქი ესახებოდა წმინდა საშოდ ჩვენი მიწისა. მცხეთა აერჩიათ ძველ მოგვებს: აქ ადიდებდნენ მზეს, ცეცხლს და მცხეთაშივე მიეღოთ ქრისტიანობა. იქ გამოიჭრა ვაზის ჯვარი, აქ მტკიცდებოდა ხელმწიფობა საქართველოსი... სვეტიცხოველში პაწაწინა სალოცავია, ის არ დაუნგრევიათ ტაძრის მშენებლებს, რადგან არ წაშლილიყო პირველი ლოცვის ნეტარმაცხოვნებელი კვალი“** („მზისშვილი“, 460. 2018).

მითოსისათვის დამახასიათებელი მოულოდნელობისა და სიხარულის ფსიქოლოგიური მუხტი ქმნის „მზისშვილის“ მხატვრულ სამყაროს. ეს დიდი მწერლური განცდა, რაც მკითხველისაგან თანაზიარობასა და თანაგანცდას ითხოვს, ოღონდ ესთეტიკური მკითხველისას.

„მზისშვილი“ ოთხი კარისგან შედგება: სიო აღმოსავლეთიდან, ახალი მითოსი, მისტერიიდან ენგადამდე, მისტიკური ქორწინება. თავის მხრივ, კარები თავებად იყოფიან, რომლებიც ქმნიან წრიულ კარედს, საიდანაც გრიგოლ რობაქიძე შემოგვცქერის. იგი „ზეშთასოფლიდან“ სულიერი მზერით დასცქერის ავტორს და კულტურული ღიმილით იწონებს თავს.

ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ გულისყურით, ლიტერატურული თვალით გავიაზრებთ როსტომ ჩხეიძისეულ ისტორიული რეალიების განზოგადებას, სადაც თავისებურია აზრთა მდინარება, სადაც მხატვრული სახეები „გაადამიანურებულია“, რომლებსაც ახლოს მიჰყავხარ და გშორდებიან მითოსური წარმოსახვის საფუძველზე და ეს მეორდება დაუსრულებლივ, რაც გაფიქრებს და გამაღლებს ადამიანს.

სიახლე არ გამორიცხავს ტრადიციას. ევროპელთათვის გრიგოლ რობაქიძე აღმოსავლელი მწერალია. რომანიც ხომ ასე იწყება – სიო აღმოსავლეთიდან – და მთავრდება მისტიკური ქორწინებით. გრიგოლ რობაქიძე, როგორც „სიო“, ისე მოევლინა აღმოსავლეთიდან ევროპას. ევროპისკენ მიისწრაფის და აღმოსავლურობის დაძლევას ცდილობს ქართული სული, მაგრამ არ გამოდის. ევროპა შინაგანი მიახლებაა, ხოლო აღმოსავლეთი – ზმანება. საქართველო კი არის გული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სადაც ყოველთვის ორი საწყისი ებრძოდა ერთმანეთს, ორი სივრცე, ორი დრო, ჩვენში ხომ ყველაფერს ორი სახელი ჰქვია, თვლასაც ორიდან ვიწყებთ: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი...

გრიგოლ რობაქიძე წერს: **„ჩვენში იყო ანთებული ხილვა აღმოსავლეთისა, მაგრამ ჩვენ ვერ გავუძელით აღმოსავლეთის დიდი შუადღის ავხორცობას. ჩვენ გამოვიარეთ ცხელი ველები ქალდეასი და კავკასიონის მანელებელ კალთებს შევაფარეთ თავი... და მოშვებულნი აღმოსავლეთს ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისკენ. იყო იმთავითვე ჩვენს რასიულ ტემპერამენტში რაღაც უცნაური, რომელიც ვერ ეგუება აღმოსავლურ მოდუნებას. ფიქრმორეულ თვლემასთან ერთად ჩვენს ხასიათში იწვოდა თესლი დასავლური ნების“.**

მწერალს არც ერთი არ ეთმობა. ეს რომ ასეა, მივაქციოთ ყურადღება „მზისშვილის“ სტრუქტურულ აგებულებას.

რომანი სიო აღმოსავლეთიდან იწყება და მისტიკური ქორწინებით მთავრდება, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ გახლავთ. „სიო“-ში ევროპელთათვის ტრადიციული გაგებით გრიგოლ რობაქიძე იგულისხმება, მით უმეტეს „აღმოსავლეთიდანაა“.

მისტიკურ ქორწინებაში მისტიკა გიტას სიყვარულითაა გაცნობიერებული. გიტაა მისი მისტიკის მასაზრდოებელი, ვითარცა ევროპელ წიაღში გაზრდილი ქალი. ევროპელი ქალით მისტიკამდე ამაღლება სხვა არაფერია, თუ არა ევროპასთან ზიარება ქალური საწყისის საფუძველზე. გიტა ასტროლოგიურად „მისტიკურ კავშირში“ მზესთან ყოფილა დაქორწინებული. როსტომ ჩხეიძე სვამს კითხვას: ეს „მისტიკური კავშირი“ ან დაქორწინება მზესთან, ხომ არ ნიშნავს მოსალოდნელ შეუღლებას გრიგოლ რობაქიძესთან? ამაზე რომანში ასეთი პასუხია: **„თუ გიტას მარჯვენაზე აღნიშნულიყო ფიალა „მისტიკურჯვარიანი“, გრიგოლის მარჯვენა ხელის გულზე გულის ხაზი მზის ფორმით გამოხატულიყო, ეს კი ნიშნავდა: გულისა და გონების ხაზები ერთნი რომ გახლდათ. როდესაც ხელს ართმევდა, თავისი „მზის ხაზით“ ეხებოდა ქალის „ფიალას“ და ამით მათი შინაგანი ერთობა სამუდამოდ დასტურდებოდა** („მზისშვილი“, 709. 2018).

საოცარი მხატვრული სახეა „გულისა და გონების ხაზები“ – ესაა ევროპა: გონება, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს საქართველო, და ეს ამაღლებული ფიქრი ქალის სახითაა მოწოდებული. შენშია გამჯდარი, როგორც დიონისე, ისე ნიცშე. თუ ამ გადასახედიდან შევხედავთ რომანს, მაშინ განსახოვნების ვერტიკალი მაღლიდან დაბლა: იდეალაურობიდან ყოფიერებისკენ, ანდა პირიქით იწყება. გიტას შემთხვევაში ყოფიერებიდან დაიწყო, რომელიც იდეალურობამდე ამაღლდა და გულისა და გონების ხაზებში მოიაზრება. გულიდან გონებამდე ამაღლება ქალის მისტიკური ხილვით ხდება. ეს მისტიკა ბადებს ევროპის ყველაზე დიდ ღირებულებას - გონებას. სწორედ ეს გონება უნდა იყოს მარადთანმხლები საქართველოსთვის.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება მძლავრობს და მომავალშიც იმძლავრებს როგორც საქართველოში, ისე ევროპაში. სადაც ქართული ენა, ქართული აზრი მითოსური სახისმეტყველების ხაზებში თავის სრულყოფილებას აღწევს. როსტომ ჩხეიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გვაგრძნობინებს მწერლის სულიერ ცხოვრებას. კერძოდ, გრიგოლ რობაქიძის მზისშვილთან გაიგივება ნიშნავს მთელი მისი შემოქმედების მითოსურ სამყაროსთან წილნაყარობას, რომ მწერალს, ისე როგორც მთლიანად ქართულ მწერლობას, არასოდეს დავიწყებია თავისი პრეისტორიული ფესვები, რომლებიც მზის სიმბოლიკით აღიქმება.

ქართველს შეიძლება ყველაფერი დაავიწყო, მაგრამ ვერასოდეს დაავიწყებ მზეს. „ეს იცოდა წმინდა ნინომ და ამიტომაც გამოსახა ჯვარი ვაზის ნასხლევისგან“ (**რევაზ სირაძე),** რადგან დემეტრე დამიანეს სიტყვებით რომ ვთქვათ; „შენ ხარ ვენახი... და შენ ხარ მზე“.

მზით მოცემული სიყვარულია ვაზი, სვანური ლილე, ქართული დედაბოძი, ტაძრებში გამოკვეთილი ვაზის ფოთლები თუ მტევნები ყველა მზის საგალობლებია. ამიტომაც წერდა გრიგოლ რობაქიძე: ქრისტიანობამ მზისა და ვაზის სიმბოლიკა გამოიყენა. ძველი რწმენა თავის ესთეტიკას შეურწყა. ქრისტიანობა არ ცნობდა არც მზისა და არც ვაზის თაყვანისცემას, მაგრამ ქართველებს არ შეეძლოთ ვაზისა და მზის სილამაზე არ განეცადათ. არ შეეძლო გრიგოლ რობაქიძესაც მზის გარეშე და ეს იცოდა როსტომ ჩხეიძემ, რომელმაც მზისშვილი უწოდა მას. დამეთანხმებით, შესანიშნავი ნათლობაა.

მზერა მზის ნიშნავს წმინდა ნინოს, დავით აღმაშენებლის, თამარის, ქეთევან დედოფლის, გიორგი მერჩულეს, სულხან-საბას, ილიას, აკაკის, ვაჟას... ხილვას. ამიტომაც ასე მრავლისმეტყველად წერს ბატონი როსტომი, რომ **ვუსმინოთ მათ ხმებს და ჩვენში შემოიჭრება: „წმინდა ნინო ვაზის ჯვრით, დავით აღმაშენებელი – ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფებისა, მეფე თამარი – ამ ხელმწიფების მშვენიერი შარავანდედი, ქეთევან დედოფალი წმინდა ნინოს დობილი და ვაზის ჯვრისათვის წამებული, დიდი კარდუს მესიტყვენი, მითიური იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, შოთა, სულხან-საბა, ილია, აკაკი, ვაჟა... შემოიჭრებოდა და მათით ძლევამოსილთ, ველარა ძლევდათ“** („მზისშვილი“, 480. 2018).

ამ სტრიქონებში ხვალინდელი საქართველოს გზა ჩანს. არ ვიცით, სხვა როგორ წაიკითხავს ამას, მაგრამ ერთი კი ცხადია, განათლების სისტემა ამ მსოფლხედვით უნდა აიგოს, რათა საქართველოს მოქალაქემ იგრძნოს, გაითავისოს: საიდან მოდის და სად მიდის...

უწინარესად, ყურადღება უნდა მიექცეს გრიგოლ რობაქიძისეულ მსოფლიო ხატს: 1) ქართული ენა 2) ჯვარი ვაზისა 3) გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

რა ამთლიანებს სამივე მათგანს? მივყვეთ თანამიმდევრობით.

უცნობი ჰიმნოგრაფი წერს: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა“. აქ კულტურული პარადიგმის გავლენა შეიძლება ადამის ენასთან. ადამი ორი სახით წარმოჩნდება: ა) სამოთხის ადამი ბ) სამოთხის მიღმისეული ადამი. ამიტომაც ენა ორნაირია: საღვთო და საკომუნიკაციო. როგორც სხვა ენები, ქართულიც ბაბილონის გოდოლის შემდეგ წარმოიშვა. რევაზ სირაძე წერს: „ქართული ენა მეორედ მოსვლის შემდეგ იქცევა ერთადერთ საღვთო ენად. ამ ენაზე ეუწყება ღვთისგან ხალხს ყოველივე. ქართულში უნდა გამჟღავნდეს ის, რაც დაფარულია – ესაა ენის ლოგოსური მხარე. ამიტომ სხვა ერებს უმაღლესი აზრი ქართულით ეუწყებათ“ (ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, 65. 1992).

მსგავსი ლიტერატურული ძეგლები სხვა ერების მწერლობაშიც გვხვდება, სადაც ამა თუ იმ ენის უპირატესობაზეა საუბარი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყველა ერს სურს უნივერსალობისაკენ სწრაფვა. ჩვენთან საკითხი სხვაგვარად დგას. ქართულ ენას ღვთაებრივი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და გრიგოლ რობაქიძეც ამ გზაკვალს მიჰყება. ამ გზით მიდის როსტომ ჩხეიძეც.

ქართული ენის ღვთაებრივი, ლოგოსური ბუნება გადასულია წმინდა ნინოს ვაზის ჯვარში. ვაზი იგივე მზეა, მზე იოანე პეტრიწის სიტყვით არის „პირველხატი ღვთისა“. ამ პირველ ხატს მიწაზე ასაცნაურებს გრიგოლ ხანძთელი, როგორც სიმბოლომ ქმედებებისა. გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არის ქართველთა საპროგრამო მანიფესტი. ჯერ ბერმონაზვნობა (ღვთაებრიობა) და შემდეგ ბაგრატოვანთა დინასტიის წარმოჩენა. აქ ჩანს ღვთაებრივისა და ეროვნულის ერთიანობა. ეს არის იდეალი გრიგოლ ხანძთელისა და ეს არის იდეალი გრიგოლ რობაქიძის.

XX საუკუნის გადასახედიდან მისი აზრი ერთობ საგულისხმოა: ვერანაირი კრებები ვერ უშველის ეკლესიას, თუ ის არ გადახალისდება შინაგანად. გრიგოლ რობაქიძე ხვდება, რომ ხანძთელის გზას ავცდით, აღარაა „სულიერი მღვიძრობა“. „წავიკითხოთ პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ : 11,25. ეს ჯერ არავის აუხსნია“ („მზისშვილი“, 688. 2018).

როსტომ ჩხეიძეს რომანში გრიგოლ რობაქიძის ქრისტიანული მსოფლმხედველობა შემდეგნაირად აქვს მოცემული; შევეცდები, თეზისების სახით ჩამოვაყალიბო:

– ქრისტიანობა აქ გახლდათ სწავლება ქრისტესი – ეს ყოველი ქრისტემდეც იყო ცნობილი.

– ღმერთი პიროვნება გახლდათ, ოღონდ ზეინდივიდუალური.

– ქრისტე – პიროვნება სამ ინდივიდუალურად მოვლინებული.

– ადამიანის გაჩენა გულისხმობს მის ღვთაებრივ წარმოშობას.

– ადამიანი მოიხსენიება „მონად ღვთისა“, სიტყვა „მონა“ უნდა შეიცვალოს „ძე ღვთისათი“. მთავარია 82-ე ფსალმუნი.

– პირველცოდვა, რომელიც გულისხმობს ბოროტის შემოჭრას ყოფაში, აუხსნელი გახლავთ, მიუხედავად მრავალი თეორიისა.

– ღმერთი არ შეიძლება დამსჯელი ყოფილიყო.

– ქრისტეს უშუალო წინამორბედი მოსე გახლდათ.

ქრისტიანული დოგმატიზმისათვის ბევრი რამ შეიძლება მიღებული იყოს, მაგრამ ერთი რამის თქმა ცხადლივ შეიძლება: მწერალი გულითა და გონებით განიცდის მაცხოვარს, მაგრამ გონებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ გზით მიდის რწმენამდე, ოღონდ ეს სიბრძნედ აყვანილი რწმენაა. ამიტომაც ამბობს, რომ იოანეს სახარება არის უპირველესი წიგნი მთელ პლანეტაზე, მის გარეშე გზას ქრისტესკენ ვერასოდეს იპოვი. მხოლოდ ქრისტე ამბობს: „მე ვარ ჭეშმარიტებაი“ (იოანეს სახარება, 14.6).

საქართველოს მსოფლხატს ღვთაებრივი და ეროვნული მიმართებანი ამთლიანებს. ეს მოიაზრება სამივე ზემოაღნიშნულში (ქართული ენა, ჯვარი ვაზისა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). ცალკე დგას „ვეფხისტყაოსანი“, ვითარცა შემკრები ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის.

„მზისშვილის“ ღირსებაც სწორედ ესაა, რომ სახისმეტყველების სივრცეში გრიგოლ რობაქიძისეული კულტურული პარადიგმები ილია ჭავჭავაძის აჩრდილივით მოგეახლება და საუბროდ გიწვევს, გეპატიჟება. გესაუბრება, თუ რაა საჭირო სახვალიოდ, რომ არ უნდა დაგავიწყდეს „მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაი“.

რომანი გრიგოლ რობაქიძის სურვილებითაა გაჯერებული, რამაც მას გრძნობა-განცდათა განსახოვნების მისია შესძინა, რაც, უპირველეს ყოვლისა, როსტომ ჩხეიძის მსოფლხედვითაა განპირობებული. ბიოგრაფოსი ორიგინალურად, თავისთავადობით ითავისებს გრიგოლ რობაქიძის სულიერ ნიუანსებს, რაც მკითხველში ემოციებს და ფიქრს აღძრავს. ამიტომ არის როსტომ ჩხეიძე მეტყველი მწერალი, მზით გამთბარი კაცი და რომანის სათაურიც მზეს დაუკავშირა, რადგან სამყაროს ცენტრში ასეთი ადამიანები ეგულება. ეს უკვე სიყვარულია, რომლის საფარქვეშეც მთელი მისი შემოქმედება მოიაზრება.

რამაზ მეფარიშვილი,
ევროპული უნივერსიტეტისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მოუწესრიგებელი მომსახურე პერსონალი, ქაოსი, ანტი-სანიტარია...

„საძართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე დავით მესხიშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ სტატუსს აძვეყნებს, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი დღეს!

რა გეგმა იყო...

და რა გვაქვს დღეს!

მომსახურე პერსონალი — ცუდად ჩაცმული, მოუწესრიგებელი. საუბრის მანერა ასეთი: მოდი აქ, წადი იქ, შედი იქით, გადი აქედან, იქ მიდი, აქ რა გინდა. არანაირი **„გთხოვთ, მობრძანდით და გთხოვთ, შებრძანდით“**. რეგისტრაციისას თანამშრომლების ნაწილს საერთოდ ფორმაც არ აცვია. აეროპორტის ტერიტორიაზე მოქმედი ბიზნესკომპანიების წარმომადგენლები კიდევ უფრო საშინლად გამოიყურებიან: **ბუშლატებით, კაპიუშონებით, მხრებზე მოხურული ჟაკეტებით და სხვა მოსასხამებით. არადა, რომ ჰკითხო, ბრენდი კომპანიებია.**

ტუალეტი — კატასტროფა, ანტისანიტარია, კარი არ იკეტება. არც ხელის დასაბანი თხევადი საპონი და არც არაფერი...

რიგები უწესრიგო, ქაოსი...

კაფეტერია საშინელი და სამარცხვინო.

დაფრინდა თვითმფრინავი. ხალხი კისრისმტვრევით ფეხით გარბის ტერმინალისკენ. ზოგი წაიქცა, ზოგს ჩანთები უვარდება, ზოგი მიფოფხავს...

პარკირების სივრცე — ვისაც სად გაუხარდება ისე აჩერებს ავტომობილს. გარე განათება — დაზიანებული. ისეთი უკუნეთი სიბნელეა, საკუთარ ავტომობილს თუ მიაგენი, კარგია. პარკირების საფასურის გადახდისას ავტომობილიდან უნდა გადმოხვიდე, მიხვიდე ჯიხურში, გადაიხადო რაღაც თანხა ვიღაცებთან. არც კომპანიის სახელწოდებაა მითითებული და არც ფორმები აცვიათ. სუფთა 90-იანები. სანამ ავტომობილში არ ხარ და ფულს იხდი, გაგინებენ შემომსვლელი და გამსვლელი ავტომობილების მძღოლები, ვინაიდან ხშირად გასვლაც და შესვლაც ერთ ზოლში ხდება. არადა, იქვეა მეორე ზოლიც, მაგრამ რატომ არ ხსნიან, არ ვიცი.

აეროპორტის ძირითადი შენობის გვერდით კარკასია. ერთ დროს გრანდიოზული გეგმებისთვის განკუთვნილი. გადახურვა ნაწილობრივ დასრულებული. ახლა მძიმედ არის დაზიანებული, ქარი აფრიალებს სახურავს უმოწყალოდ და აქეთ-იქით ყრის სამშენებლო მასალებს. დაზიანებულია ფასადი, ჩამოცვენილია ფილები და აშკარაა, რომ ყოველდღე უფრო უარესდება მდგომარეობა.

აი, რა გეგმა იყო 2017 წელს: ახალი ტერმინალის მშენებლობის დასრულების შემდეგ აეროპორტს 7 გასავლელი ექნებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საათში 1000-1100 მგზავრის შუფერხებლად გატარებას შეძლებდა ნაცვლად 300 მგზავრისა. მოეწყობოდა თანამედროვე ინფრასტრუქტურა და ამისთვის დაახლოებით 60 მილიონი ლარი (მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად) გამოიყო. თანხა კი გამოიყო, მაგრამ სად არის სამუშაოები?! ან თანხა სად არის?! ჩიტმა წაიღო?

„მალე ჩვენ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და თანამედროვე აეროპორტი გვექნება“, — აცხადებდა აეროპორტების გაერთიანების დირექტორი 2019 წლის 3 ივნისს. ყველა სამუშაო 2019 წელს უნდა დასრულებულიყო. (გადავადებების ჩათვლით). სად არის, ჩიტმა წაიღო?

დავით აღმაშენებლის მაინც შეგრცხვეთ, მისი სახელობისაა აეროპორტი ბოლოს და ბოლოს და თან საერთაშორისოა.

სირცხვილია !!! ასე შორს ვერ გავფრინდებით!

ჯარიმების მიუხედავად, ავარიული გასასვლელები მაინც ჩაკეტილია!

ავარიული გასასვლელების მოუწესრიგებლობას 2017 წელს 11 ადამიანი აჭარაში, სასტუმრო „ლეოგრანდში“ მომხდარ შემთხვევას ემსხვერპლა. სწორედ ამ ხანძრის შემდეგ საქართველოს მთავრობამ 41-ე დადგენილება შემოიღო, რომლის მიხედვითაც, სამშენებლო ნორმატივებში შევიდა ცვლილება და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დადგენა სავალდებულო გახდა. ცვლილება მხოლოდ კომერციულ სექტორში ამოქმედდა, თუმცა, ექსპერტების განცხადებით,ამ მიმართულებით საქართველოში არსებული ყველა საცხოვრებელი კორპუსი და საჯარო სივრცე ამ დრომდე დაუცველია.

უსაფრთხოების კუთხით ქვეყანაში არსებულ მძიმე სიტუაციაზე საუბრობს ექსპერტი **გიორგი ჭაღიაშვილი.** მისი თქმით, როგორც საჯარო დაწესებულებებში, ასევე საცხოვრებელ კორპუსებში, უსაფრთხოების სისტემა არ მოქმედებს, რაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებს.

„დაწესებულებებში უსაფრთხოების მხრივ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბალი დონეა, რადგან სფეროს წარმომადგენლებს შესაბამისი ცოდნა არ გააჩნიათ. რაც შეეხება ავარიულ გასასვლელებს — უამრავი ჯარიმა გამოიწერა თბილისის ზედამხედველობის მხრიდან, ბევრმა ავარიული გასასვლელი გააკეთა, თუმცა, ჩაკეტილი აქვთ. ამ შემთხვევაში მისი არსებობის აზრს ვერ ვხვდები“, — აცხადებს ჭაღიაშვილი.

მისი თქმით, სასტუმროებისა და შენობა-ნაგებობების უმეტესობის საავარიო გასასვლელები ელექტრონულადაა აღჭურვილი და საავარიო შემთხვევის დროს, ავტომატურად იღება.

„გეტყვით რომ, თუ ჭკვიანია ელექტრონული სისტემა, თუ ის ნამდვილად არსებობს შენობაში, როგორც კი სახანძრო განგაში ჩაირთვება, აუცილებელად ავტომატურ რეჟიმში ამოქმედდება.თუმცა, არ არსებობს ზედამხედველობა, რომელიც ამას შეამოწმებს, დაგვიდასტურებს და იტყვის, რომ სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებს მსგავსი სისტემა გააჩნიათ. მათ უბრალოდ სიტყვაზე უნდა ვენდოთ და ვანდოთ ჩვენი სიცოცხლეც. სისტემა არ მუშაობს, რადგან არაკომპეტენტური ადამიანები არიან“, — აცხადებს ჭაღიაშვილი.

დაწესებულებებში უსაფრთხოების მხრივ ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბალი დონეა, რადგან სფეროს წარმომადგენლებს შესაბამისი ცოდნა არ გააჩნიათ

სასტუმროსა და რესტორნებში, მაღალ სართულებზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვაზე საუბრობენ დამსვენებლებიც, თეონა ბ. ერთ-ერთი მათგანია, ვინც მსგავსი პრობლემის წინაშე თავად აღმოჩენილა. პრობლემა ისეთ ბრენდულ დაწესებულებებში შეექმნა, როგორიცაა სასტუმრო კახეთში „რედისონ ქოლექშენი“ და თბილისში კლუბი „რესპუბლიკა“. ორივე დაწესებულებაში, კიბით სარგებლობა დაცვის თანხლების გარეშე ვერ შეძლო. როგორც მან „კომერსანტთან“ საუბრში აღნიშნა, მისი ყოველი გადაადგილება დისკომფორტთან იყო დაკავშირებული, რადგან ახალგაზრდა ქალს ლიფტით სარგებლობა კლაუსტროფობიის გამო არ შეეძლო, ხოლო კიბე ყველგან ჩაკეტილი დახვდა.

„კლაუსტროფობია მაქვს, დახურულ სივრცეში რამდენიმე წამიც ვერ ვჩერდები, ამას ემატება ჩემი შიში ლიფტების მიმართ. ვისვენებ სასტუმროში, სადაც ვიხდი საკმაოდ კოლოსალურ თანხას და კიბით თავისუფლად გადაადგილება არ შემიძლია. როდესაც მისაღებში ვთხოვე, გაეხსნათ კიბე, მითხრეს, რომ კარები სპეციალური ბარათით იღება, მასზე ხელი კი მხოლოდ თანამშრომლებს მიუწვდებათ. ამ დროს დამეუფლა შეგრძნება, რომ არ ვარ უსაფრთხოდ. ღამე რომ გარეთ გასვლა და ეზოში გასეირნება მომინდეს, თავისუფლად ვერ გავალ, ხანძარი რომ გაჩნდეს, ელექტროჩამკეტს უნდა ვენდო, რომელიც არ ვიცი, ხანძრის დროს იმოქმედებს თუ არა. გამახსენდა „ლეოგრანდის“ ამბავი, ზუსტად ვიცი, რომ მეორედ ამ სასტუმროში აღარ ჩავალ“, — განაცხადა თეონამ. სტუმრისგან განსხვავებით, სასტუმროში თავს დაცულად გრძნობს „რედისონ ქოლექშენის“ წარმომადგენელი თეონა ახობაძე. როგორც ის განმარტავს, სასტუმროში უსაფრთხოების ნორმები საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისადაა დაცული.

„არც ერთ სტუმარს არ უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ სასტუმროში ამ მხრივ თუნდაც პატარა დეტალი რიგზე არ არის. რაც შეეხება კიბის ჩაკეტვას, ამით ვიცავთ სხვა სტუმრების უსაფრთხოებას, რის გამოც ვაკონტროლებთ კიბის უჯრედებს, უსაფრთხოების თანამშრომლებისვის აუცილებელია, იცოდნენ, სად გადაადგილდებიან სტუმრები, რომ დაცულები იყვნენ. ჩვენს სასტუმროში ყოველთვიურად მოწმდება უსაფრთხოების სისტემა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ნებისმიერ დროს ნებისმიერი სახის შემოწმებას გავივლით. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო: არ ვადასტურებ და არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ჩვენს სასტუმროში სტუმრების უსაფრთხოება დაცული არ არის. ეს არ შეესაბამება სიმართლეს“, — განაცხადა თეონა ახობაძემ.

ნათია ლომიძე

სახელმწიფომ კომერციული ბანკებისგან 70 მილიონი ისესხა და გაყიდა

2019 წლის 26 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე სებმა 70 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაყიდა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით,აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 153 500 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 9.37 პროცენტით, მაქსიმალური 9.790 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 9.461 პროცენტით განისაზღვრა. კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.000 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

ცნობისთვის, „ბლუმბერგის“ სისტემაში დილიდან დოლარის კურსი 2.99 ლარის ნიშნულს მიუახლოვდა, კომერციულ ბანკებში კი, 3-ლარიან ნიშნულს გადასცდა. ამ დროისთვის, კურსი ოდნავ დასტაბილურდა და „ბლუმბერგის“ სისტემაში 2.9650 ნიშნულზეა.

31 ოქტომბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის რეზერვების მოცულობა 3 მილიარდ 386 მილიონ დოლარს შეადგენს.

◎ თითქმის ნატურიდან

დამნაშავეა ინფლაცია...



ამ პროდუქტებზე ფასების ზრდამ ხომ პირდაპირ ტვინი წაიღო, იზრდება და იზრდება უპრაგონოდ. ვერც ვერავის შეეკითხები, რა ხდება ამ ცოდვილ დუნიაზე. პარლამენტარი, მინისტრი თუ პოლიტიკოსი, ყველა ამ პროპორციული არჩევნების ორომტრიალშია გახლართული.

კიდევ კარგი, ფინანსთა მინისტრმა მაინც მოიხელთა ორიოდ წუთი ტელეეთერში განმარტების გასაკეთებლად, თორემ ხალხი ძალიან იყო დაბნეული და აღელვებული. დაწყნარდითო, თქვა მან, პროდუქტების გაძვირება სულ ამ არამზადა ინფლაციის ბრალიაო. არადა, ხალხი რატომღაც ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი მთავრობის უგერგილობით არის გამოწვეული.

არაო, თქვა ხაზგასმით და გასაგებად მინისტრმა, მთავრობა არაფერ შუაშია, ამ საქმეში ერთადერთი დამნაშავე ინფლაციაა. ხომ კარგად მოგეხსენებათ, საქართველო ჩამოკიდებულია იმპორტზე, უცხოეთში კი ყველაფერი დოლარზე იყიდებაო.

ვიღაცამ ის იყო პირი დააღო საკითხავად: თავად ინფლაცია ასე უღმერთოდ რომ გვჭამს, ეს ვიღას ბრალიაო, მაგრამ მინისტრს დრო აღარ ეყო ამის ასახსნელად და უმალ გაიძურწა.

ამ ამბავმა კი ჩემი კოლეგა მეგობარი გამახსენა, მეტსახელად ბენიტო, რომელსაც ამას წინათ ინფლაციასთან დაკავშირებით რედაქციის მებუფეტე ქალბატონთან არცთუ სასიამოვნო საუბარმა მოუწია.

— აბა ჩქარა, ვიდრე ხალხი არ დაგრევია, ბათუმურა დამისხი, თან მწნილიც მოაყოლე, — მიმართა ბუფეტში დასანაყრებლად შესულმა ბენიტომ ქალბატონ ჯულიას.

— ლობიო ჯერ არ მოხარშულა, მწნილი კიდევ გუშინ გამითავდა, — მიუგდო უკანმოუხედავად მასპინძელმა.

— ჰო, აბა გაწყვიტე ყველაფერი, — იწყინა ბენიტომ, — ფენოვანი მაინც არა გაქვს?

— ფენოვანი, გენაცვალე, უკვე 3 ლარი გახდა. ესეც არ იყოს, ნისიად ვეღარაფერს მოგცემ.

— რატომ, ლამაზო? — დაუშაქრდა ბენიტო.

— იმიტომ, რომ ინფლაციამ შემჭამა, ერთი თვის წინათ მირთმეულს, ჩემო კარგო, დღეს რომ გადაიხდი, იცი ზარალი სად ურტყამს?

— კარგი, კარგი, ცარიელა არაყი მაინც დამისხი!

— მარტო არაყს არ ვყიდი.

— რატომ, ეგეც გაინფლაციურდა? ერთი ეგ მითხარი, ეგ ინფლაციაა, თუ რაღაც ჩემი ფეხები, საიდან აიკიდე?

— ავიკიდე კი არა, სულ ვეხვეწებოდი, გამომყევი-მეთქი, მაგრამ უარზე იდგა, რა აკიდება უნდა, შეხვალ თუ არა ბაზარში, უმალ ფეხდაფეხ აგედევნება და მანამდე არ მოგცილდება, ვიდრე ხელჩანთაში საგულდაგულოდ არ მოკალათდება.

— მაგას მე ვუტირებ ყოფას, თუ აქ მასეთი ფასი აქვს, სულაც ერთიანად მოვხვეტავ და საზღვარგარეთ გავიტან საექსპორტოდ, — დაიქადნა ბენიტომ და მეორე დღეს, ინათა თუ არა, დეზერტირების ბაზარს მიადგა.

— მობრძანდით ბატონო, რას ინებებთ? — შეიპატიჟეს აქეთიქიდან მოვაჭრეებმა.

— ინფლაციას დავეძებ, ხალხო, ხომ არ გექნებათ?

— მაგის მეტი რა გვაქვს, შეკაცო! — გაამხნევა მუშტარი ულვაშა გამყიდველმა, — ბაზარი ყელთამდე სავსეა ინფლაციით, ივაჭრე რამდენიც გინდა.

— აგაშენა ღმერთმა, — გაიხარა ბენიტომ, — მოიტა, ერთიანად ავიღებ.

— არა, მასე ვერ მოგყიდი, — „ატკაზი“ ქნა ულვაშამ.

— რატომ კაცო, აკი ბევრიაო?

— არი, მაგრამ მხოლოდ პროდუქტთან ერთად იყიდება.

— რატომ, ცალკე გაყიდვა ვინ აგიკრძალათ?

— ვინა და მთავრობამ. გაგვაფრთხილეს, თუ ვინმე ინფლაციას ცალკე გაყიდის, დიდ ჯარიმას აიკიდებსო.

— რისთვისო, არ უთქვამთ?

— აბა, რა ვიცი, ამ მთავრობისას რას გაიგებ, არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, თვით ამერიკაშიც კი, ინფლაცია ცალკე არ იყიდება და ჩვენ რა გამონაკლისი ვართო.

ყურები ჩამოყარა ბენიტომ, რომელმაც ვერც სანუკვარი ინფლაცია შეიძინა და ვერც ამ მზაკვარი ინფლაციის წყალობით მამასისხლად გაძვირებული პროდუქტები. ახია მაგაზე, რას გარბოდა ბაზარში, ფინანსთა მინისტრს დაკითხვოდა და ამ ხათაბალას აღარ გადაეყრებოდა.

მინისტრი განათლებული კაცია, როგორც მას სჩვევია, დინჯად და გასაგებად აუხსნიდა, რომ ინფლაცია საიმპორტო პროდუქტი არ გახლავთ, თორემ მის საზღვარგარეთ გატანას საქართველოს მთავრობას ვერავინ დაასწრებდა. უფრო მეტიც, ამერიკა-ევროპის ბაზარს უნიკალური თვისებების მქონე ქართულ ღვინოსთან ერთად, ასევე უნიკალური ქართული ეროვნული ინფლაციით უხვად მოამარაგებდა და ჯიბეგახვრეტილი ბენიტოც ამ გაუგებრობაში აღარ გაიხლართებოდა.

ამას მოფიქრება არ უნდოდა?! ბენიტოს ჭკუა არ ეყო და ვერ მოიფიქრა. სამაგიეროდ, ფინანსთა მინისტრი აღმოჩნდა ანტიინფლაციური გონიერებით დაჯილდოებული.

ოთარ ხუციშვილი

გორში 18 წლის ბიჭი დაჭრეს

ბიჭს ბასრი საგნით სამი ჭრილობა აქვს მუცლის არეში მიყენებული. შემთხვევა გორში, ერთ-ერთ რესტორანში გვიან ღამით მოხდა. არსებული ინფორმაციით, დაჭრილი სამხედრო სამსახურს გადის, თუმცა დათხოვნილი იყო. დაჭრილი გორის სამედიცინო ცენტრ „გორმედშია“ გადაყვანილი. მას ოპერაცია ჩაუტარდა.

ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულში ბრალდებული დაკავებულია. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

სოფელ გრემში ხანძრის შედეგად არასრულწლოვანი დაიღუპა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემში ხანძრის შედეგად არასრულწლოვანი დაიღუპა. როგორც საქართველოს პირველ არხს სოფელ გრემში ყვარლის მერის წარმომადგენელმა, დავით ბერიკაშვილმა განუცხადა, ორსართულიან საცხოვრებელ სახლში, სავარაუდოდ, ბუნებრივმა აირმა გაჟონა, რის შემდეგაც მოხდა აფეთქება და ხანძარი გაჩნდა.

მისივე ინფორმაციით, სახანძრო სამსახური შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით მივიდა. მეხანძრეების მისვლამდე ხანძრის ჩაქრობას ადგილობრივები ცდილობდნენ, მაგრამ 12 წლის ბიჭმა სახლიდან გამოსვლა ვერ მოახერხა.



ხორცის დეფიციტმა და სიძვირემ მთავრობაც კი შეაშფოთა

ქვეყანაში **სიძვირესთან ერთად, ხორცის დეფიციტიცაა. ამის უმთავრესი მიზეზი ექსპორტია, რომლის მასშტაბებიც მკვეთრად გაიზარდა. მთავრობა უკვე სერიოზულად დაფიქრდა შექმნილ რთულ სიტუაციაზე და ახალი შეზღუდვის შემოღებასაც აპირებს.**

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის **გიორგი ხანიშვილის** ინფორმაციით, შესაბამისი პროექტი, რომელიც ექსპორტზე გასაყვანად მსხვილფეხა პირუტყვის წონის 140 კილოდან მინიმუმ 200 კილომდე გაზრდას გულისხმობს, უწყებას უკვე მომზადებული აქვს და წლის ბოლომდე მთავრობას წარუდგენს განსახილველად.

„უკვე მრავალი თვეა, ვამბობთ, რომ საქართველოში ხორცის დეფიციტია. სასაკლაოები ჩივიან, რომ მათ სულ უფრო და უფრო უჭირთ პირუტყვის შოვნა დასაკლავად და ეს არის სწორედ პრობლემის თავი და თავი. რამდენიმე ფაქტორია, რამაც ეს გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ექსპორტის მაჩვენებელი. უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ქვეყნიდან დაახლოებით 500 ათასი რქოსანი პირუტყვი გაიყვანეს საზღვარგარეთ გასაყიდად. ბუნებრივია, სწორედ ამან შეამცირა საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა“, — განუცხადა „პირველ არხს“ გიორგი ხანიშვილმა.

მინისტრის მოადგილის თქმით, სწორედ პირუტყვის ექსპორტია რძისა და რძის პროდუქტების, ასევე ხორცისა და ხორცპროდუქტების გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი. როგორც ხანიშვილმა აღნიშნა, მეცხოველეობის დარგის განვითარების კუთხით, საქართველოს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს და საჭიროა ქვეყანაში უფრო მაღალპროდუქტიული უცხოური ჯიშის პირუტყვის გამრავლება, ასევე ფერმერული მეურნეობების განვითარება.

„საქსტატის“ წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის III კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.1 პროცენტით შემცირდა და 902.1 ათასი სული შეადგინა. აქედან, ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 436.6 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 7.1 პროცენტით ჩამორჩება.

ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 7.3 პროცენტით შემცირდა და 813.6 ათასი სული შეადგინა. ღორების რაოდენობამ 225.4 ათასი სული შეადგინა, რაც 8.8 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე, ხოლო ფრინველის რაოდენობა 3.7 პროცენტით შემცირდა და ახლა 9.1 მლნ-ია.

წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის III კვარტალში წარმოებულია 160.3 მლნ ლიტრი რძე, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 4.8 პროცენტით ჩამორჩება. ხორცის წარმოებამ 14.5 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2018 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 3.3 პროცენტით ნაკლებია. სწორედ ამის გამოა, რომ ბოლო ერთ წელიწადში რძის ნაწარმი 16%-ით გაძვირდა, ხოლო ხორცი - 14.7%-ით.

სპეციალისტები დიდი ხანია, მიუთითებდნენ მთავრობას ისე მოქმედებას, როგორც ახლა აპირებს. მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ბეჟა გონაშვილი** რამდენიმე კვირის წინათ ამბობდა, რომ აუცილებელი იყო საქართველოდან 200 კილოგრამამდე ცოცხალი პირუტყვის ხორცის ექსპორტი აკრძალულიყო.

„ქვეყანაში არის ხორცის დეფიციტი. რასაც 5-6 თვის წინ ვამბობდი, აბსოლუტურად ყველაფერი ახდა. ფასები უკვე გაზრდილია. დეკემბერში ხორცის საცალო ფასმა კი შეიძლება 20 ლარს გადააჭარბოს. ქვეყანაში ხორცის სერიოზული დეფიციტია და ამის მიზეზი ის არის, რომ ექსპორტზე გადის პატარა ბოჩოლები.

მოგეხსენებათ, მთავრობის დადგენილებით საქართველოდან აიკრძალა 140 კილოგრამამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი, რაც, ჩემი აზრით, ცოტაა. აუცილებელია, რომ ქვეყნიდან მინიმუმ 200 კილოგრამამდე ცოცხალი პირუტყვის ექსპორტი შეიზღუდოს. თუ ამ მიმართულებით მთავრობამ ცვლილებები არ განახორციელა, მაშინ ადგილობრივი ბაზარი აუცილებლად დაზარალდება და ხორცის ფასიც საგრძნობლად გაიზრდება. თუმცა, პრობლემა კომპლექსურია და მთავრობის ერთი დადგენილებით შედეგს ვერ მივიღებთ. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში ადგილობრივი მეხორცული პროდუქტიულობის გაუმჯობესებას“, — განაცხადა გონაშვილმა.

ბექა დანელია

◎ ხელბურთი

ოპტიმისტური განწყობით

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებს გაისად იანვარში მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელის: ჯერ იტალიურ ბენევენტოში 10-12 იანვარს 2021 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდია გასამართავი, სადაც მომდევნო ეტაპის ერთადერთი საგზურისთვის ერთმანეთს იტალია, რუმინეთი, კოსოვო და საქართველო დაუპირისპირდებიან, 16 და 19 იანვარს კი 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის პლეიოფში საქართველო შინ და სტუმრად ფინეთს შეხვდება და აქ გადაწყდება, ვითამაშებთ თუ არა ევრო 2022-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში, სადაც 32 უძლიერესი გუნდი ევროპის ჩემპიონატის 20 საგზურისთვის იბრძოლებს.



მოახლოებული შეჯიბრებების წინ ჩვენმა გუნდმა მზადების მე-2 ეტაპი გაიარა. პირველი მათგანი ოქტომბრის ბოლოს იყო – ერთკვირიანი შეკრება მაკედონიაში. ამჯერად კი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების კანდიდატებმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დამირ სტოიანოვიჩის, ბექა ორჯონიკიძისა და გიორგი გვაზავას ხელმძღვანელობით ივარჯიშეს. ამ შეკრების შესახებ **ბექა ორჯონიკიძეს** ვესაუბრეთ.

– ოქტომბერში ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება გვქონდა მაკედონიაში. – გვითხრა მან. – მასპინძლებთან ორი სერიოზული ტესტ-მატჩიც გავმართეთ. ამ ორთაბრძოლებს გუნდის წევრებისთვის, განსაკუთრებით – დებიუტანტებისთვის, საერთაშორისო ორთაბრძოლებში გამოცდილების მისაღებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამჯერად გადავწყვიტეთ, თბილისში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ეროვნული გუნდის კანდიდატები შეგვეკრიბა.

– რატომ გახდა საჭირო ამ სპორტსმენების ცალკე მომზადება?

– ჩვენი გამოცდილი ხელბურთელები უცხოურ კლუბებში თამაშობენ. დანარჩენები მათ ჩამოუვარდებიან ფიზიკური მომზადების დონით, სავარჯიშო პირობებითა და, შესაბამისად, სათამაშო კლასით. გაისად იანვრის 10 დღეში კი 5 უმძიმესი პაექრობა გველის. ამიტომ გადაწყდა ამ შეკრების ჩატარება, რომ მთელი გუნდი მზად იყოს.

– რამდენი ხელბურთელი მიიწვიეთ შეკრებაზე?

– ეროვნული გუნდის 12 კანდიდატი და ახალგაზრდული ნაკრების სამი წევრი. სამი მოთამაშე, სამწუხაროდ, ტრავმის გამო დაგვაკლდა. სულ 9 ვარჯიში გავმართეთ. ვერ ვიტყვი, რომ ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებას დაეთმო – ვიმუშავეთ გუნდურ ურთიერთქმედებაზე, ინდივიდუალურ ტექნიკასა და კოორდინაციის გაუმჯობესებაზეც.

– სამომავლო გეგმებსა და შანსებზე რას გვეტყვით?

– წლის ბოლომდე ჩამოვლენ ლეგიონერები, მთავარი მწვრთნელი **ნიკოლა მაქსიმოვიჩი,** ფიზმომზადების მწვრთნელი **მარკო შეშუმი,** ჩვენი მთავარი კონსულტანტი **დრაგან ჯუკიჩი,** იანვრის პირველი რიცხვებიდან კი ნაკრები ოფიციალურ შეკრებაზე გადავა. მომავალი პაექრობებიდან მაქსიმალურ შედეგს ველით.

მარიამ მარღია

სეუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი

◎ წყალხტომა

ორი „ვერცხლით“ ამოყვინთა

თორნიკე ონიკაშვილი, იური ნავროზოვი, ალექსანდრ მოლჩანი

მინსკის ოლიმპიურ აუზზე დამთავრდა წყალმხტომელთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ცხრა ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზეს, მათ შორის სამი საქართველოდან იყო სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ირაკლი ბართაიას ხელმძღვანელობით.

შეჯიბრების პირველ დღეს ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 20 ვაჟი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. თბილისელმა **თორნიკე ონიკაშვილმა** 300 ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. 327 ქულით პირველი ადგილი შეიარაღებული ძალების 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორმა, ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის ფინალისტმა **იური ნავროზოვმა** (ბელარუსი) დაიკავა. 290 ქულით მესამე ადგილზე მისი თანაგუნდელი, ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი **ივან სემენიუკი** გავიდა.

ტურნირის ბოლო დღეს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომისას ონიკაშვილმა ფინალში 323 ქულა მოაგროვა, რამაც ვერცხლის მედალი მოუტანა. 360 ქულით აქაც პირველი იყო მასპინძელი იური ნავროზოვი. 310 ქულით ბრინჯაოს მედალი 2019 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ **ალექსანდრ მოლჩანს** (ბელარუსი) ერგო.

– ასპარეზობის შედეგებით კმაყოფილი ვარ, – გვითხრა ირაკლი ბართაიამ. – თორნიკემ კარგად წარმოაჩინა თავი. დარწმუნებული ვარ, რომ ონიკაშვილი უფრო მნიშვნელოვან შეჯიბრებებშიც გვასახელებს.

ლექსო ცინცაძე

◎ რეგიონი

კასპში საფეხბურთო სტადიონი მწყობრში ჩადგა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქ. კასპში საკაძის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია დაასრულა. სპორტსკოლის რეაბილიტირებული შენობა ორსართულიანია. შენობის საერთო ფართი დაახლოებით 230 მ²-ია.

პროექტი ითვალისწინებდა პარკინგის, გამწვანების ზოლის მოწყობას და საპროექტო ტერიტორიის სრულად შემოღობვას. ამასთანავე, მოეწყო ორი 20-კაციანი გასახდელი როგორც უფროსებისთვის, ასევე ორი 18-კაციანი გასახდელი ბავშვებისათვის.

სპორტსკოლას ახლა უკვე აქვს საშხაპეები, გასახდელები, ოთახები სველი წერტილებით როგორც ადმინისტრაციისთვის, ასევე მსაჯებისთვისა და მწვრთნელებისთვის. შიდა და გარე სველ წერტილებში ცხელი წყლის მიწოდება მზის პანელების მეშვეობით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ხდება. განისაზღვრა სახანძრო უსაფრთხოებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური ადგილები. ამასთანავე, საფეხბურთო სტადიონზე დამონტაჟდა ტაბლო და სპორტული განათება, განთავსდა 500 კაცამდე სამაყურებლო ტრიბუნა, პრეს-ლოჟა და ორი 14-ადგილიანი გადახურული სათადარიგოთა სკამები.

ვაჟა ნოსირელი

◎ რაგბი

„ხარები“ ქულით დაწინაურდა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში პირველი წრის ბოლო ტურის პაექრობები გაიმართა. დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი რუსთავში, სადაც ადგილობრივმა „ხარებმა“ უშუალო კონკურენტს – ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს „ბათუმს“ უმასპინძლა.

რუსთაველები 45-ე წუთამდე მშრალი ანგარიშით იგებდნენ შეხვედრას - 7:0. ამის შემდეგ ზღვისპირელები გააქტიურდნენ და წონასწორობა აღადგინეს, მაგრამ რუსთაველებმა ბრძოლის ბოლომდე მაინც იძალეს, 17:7 გაიმარჯვეს და გათამაშების სატურნირო ცხრილში პირველ საფეხურზე გადაინაცვლეს.

ქუთაისის „აია“ შინ შეხვდა გორის „ჯიქს“. შედეგი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: გორელები მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ, ანგარიშშიც წინ იყვნენ და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც – 19:15. „აიამ“ ერთი საპრემიო ქულის აღება მოახერხა. ტურის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: „ლელო“ – „იუნკერები“ 31:25, „ლოკომოტივი“ – „აკადემია“ 5:25, „არმაზი“ – „ყოჩები“ 18:8.

პირველი წრის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ(ს)
ხარები	9	6	0	3	67	29(5)
ბათუმი	9	5	2	2	80	28(4)
ლელო	9	5	1	3	48	26(4)
აკადემია	9	6	0	3	36	26(2)
აია	9	4	2	3	69	25(5)
ჯიქი	9	5	0	4	-36	21(1)
არმაზი	9	3	1	5	-84	15(1)
იუნკერები	9	2	0	7	-17	15(7)
ლოკომოტივი	9	3	1	5	-121	14(0)
ყოჩები	9	1	3	5	-42	12(2)

მეორე წრის პირველი ტურის პაექრობები 29 ნოემბერსა და 1 დეკემბერს გაიმართება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: „ბათუმი“ – „იუნკერები“, „ხარები“ – „ყოჩები“, „არმაზი“ – „აკადემია“, „ლოკომოტივი“ – „ჯიქი“, „აია“ – „ლელო“.

ლაშა დიდია

◎ მოზაიკა

ხუმრობა ძვირად დაუჯდა

ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი მარკო ვან ბასტენი ნაცისტურ სკანდალში გაეხვა. ევროპის 1988 წლის ჩემპიონმა, „ოქროს ბურთის“ სამგზის მფლობელმა (1988, 1989, 1992). „აიაქსი“ – „ჰერაკლესის“ (4:1) ერედივიზიონის მატჩის პირდაპირი ტრანსლაციისას უპატიებელი შეცდომა დაუშვა.

თამაშის დაწყებამდე FOX Sports-ის ჟურნალისტი ჰანს კრაი „ჰერაკლესის“ გერმანელ მწვრთნელ ფრანკ ვორმუტისგან ინტერვიუს იღებდა. საუბრის ბოლოს ეთერში მოხვდა ვან ბასტენის მიერ სტუდიაში ნათქვამი სიტყვები. 55 წლის ლეგენდამ, როგორც ჩანს, ხუმრობა გადაწყვიტა და ნაცისტური მისალმება წარმოთქვა (Sieg Heil). ვან ბასტენისთვის საუბედუროდ, იმ მომენტში მისი მიკროფონი ჩართული იყო.

ცოტა ხანში ვან ბასტენმა ტელემაყურებლებს მოუბოდიშა. FOX Sports-მა ოფიციალურ განცხადებაში ყოფილი ფეხბურთელის კომენტარს „მიუღებელი“ უწოდა. ჯერჯერობით უცნობია, ვან ბასტენი დაისჯება თუ არა.

ჟურნალი „ოლე“ №4

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2019 წლის IV ნომერი.

ჟურნალი იხსნება „ოლეს“ 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მიმოხილვით.

რუბრიკით „ილია ჭავჭავაძე“ იბეჭდება **როინ ჭიკაძის** „უფლისმიერი „სასულიერო წყურვილი“ ჭაბუკი ილია ჭავჭავაძისა“.

რუბრიკით „ადამიანები, რომლებიც სამშობლოსავით გიყვარს“ გამოქვეყნებულია **მერი ზაალიშვილის** წერილი „თელავი – რექტორების ქალაქი და ალექსანდრე გვენცაძე. ვარსკვლავთცვენა თელავში“.

ჟურნალი მკითხველს სთავაზობს ქრისტიანული პოეზიის IX ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარის“ საფესტივალო ლექსებს.

რუბრიკით „მწერლის სიტყვა“ გაეცნობით **ფარნა რაინას** გამოსვლას საქართველოს მწერალთა კავშირის XXV ყრილობაზე.

მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: **ვანო ჩხიკვაძის, ირმა კეკელიძის, გიორგი შარვაშიძის** მოთხრობები; **როლანდ გიორგაძის** რომანის „დისო, დისო...“ გაგრძელება. ასევე **თამარ კოლელიშვილის, ვაჟა გიგაურისა და დარეჯან ჭანკოტაძის** ლექსები.

ღვაწლმოსილ თელაველ ქალბატონს **ლამარა იანვარაშვილს** საიუბილეო თარიღს ულოცავს ცნობილი ჟურნალისტი **ოთარ ხუციშვილი**.

რუბრიკაში „ბავშვობის ერთი ეპიზოდი“ გამოქვეყნებულია **ელდარ ჭიჭიაშვილის** „იყო და არა იყო

რა“ და **ივეტა პავლიაშვილის** „კუზიანი ხე“.

„თარგმანის“ რუბრიკით მკითხველი გაეცნობა **დიმიტრი ლიხაჩოვის** „წერილები სიკეთესა და მშვენიერებაზე“. მთარგმნელი **ნინო არსენაშვილი**.

ჟურნალში გამოქვეყნებულია **სოფიო ჭელიძის** ილუსტრაციები.

ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გაფორმებულია მხატვარ **ზაქრო ფიცხელაურის** ნახატებით.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი **შოთა ნარეკლიშვილი**) მხარდაჭერით.

ძლიერი მიწისძვრა ალბანეთში

ალბანეთში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ბიძგების სიმძლავრემ 6.4 შეადგინა. შედეგად ჩამოინგრა ორი შენობა, დაღუპულია სულ ცოტა 6 ადამიანი. დაშავებულთა რაოდენობა 150-ს აღემატება. რამდენიმე ადამიანი ნანგრევებში არის მოყოლილი. მიმდინარეობს სამძებრო-სამაშველო სამუშაოები.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქვეყნის დედაქალაქ ტირანას მახლობლად, 10 კილომეტრის სიღრმეზე დაფიქსირდა.

სანთელი

გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას და თანავუგრძნობთ ჩვენს უახლოეს მეგობარს სანდრო დიდებულიძეს და მის ოჯახს უძვირფასესი და უნიჭიერესი მეუღლის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის

თამარ ჭელიძის

მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 26, 27 XI, 17 სთ., კოსტავას ქ. №44, III სადარბაზო, გამოსვენება 28 XI, 14 საათზე სამების ეკლესიიდან (ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორია).

მეგობრები: გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, მერაბ ახოშაძე, ამირან ბოდოკია, მარიანა ბობროვა-ოიკაშვილისა, ბაკურ გულუა, ლია დათეგაშვილი, გურამ დგებუაძე, სულიკო თაბაგარი, ომარ კაჭარავა, ჯემალ კუხალაშვილი, მურმან მაჭარაშვილი, თინა მაკალათია-შუბითიძისა, გიორგი სალუქვაძე, გენრი ფრანგულაიშვილი, დალი ძებაძე-ტაბატაძისა, ვალერი შამათავა, გრიგოლ შონია, ვიტალი ღლონტი, რამაზ ხუროძე.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა ძირძველი ფოთელი ოჯახის წევრი, ჩვენი მეგობარი, დადებითი თვისებებით შემკული პიროვნება

ზაურ გვარამია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრს, მის ძმას – ვახტანგ გვარამიას.

გამგეობის სახელით:
სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი.

თანაგრძნობას ვუცხადებთ ამირან როგავას ძმის, შესანიშნავი პიროვნების, ჭეშმარიტი მამულიშვილის, საზოგადო მოღვაწის, სპორტის დიდი ამაგდარის

ვალერიან (სულიკო) როგავას

გარდაცვალების გამო.

ნინო ბეჟიტაშვილი-კაკულია,
მერი ცომაია ოჯახებით.

ჟირაფებიც მალე გამოჩნდებიან თბილისში...

თბილისის ზოოპარკში მომავალი წლიდან ჟირაფების ვოლიერის მშენებლობა დაიწყება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ასრულდება საქართველოში ფაუნის მრავალი თაობის მოყვარულთა ოცნება: ჟირაფების – ამ ფანტასტიკური არსებების – ნახვა შესაძლებელი იქნება საქართველოდან გაუსვლელად!

საქმე ის არის, რომ ორიოდე დღის წინ თბილისს ესტუმრა ზოოპარკების ცნობილი ჰოლანდიელი დიზაინერი ერიკ ფონ ფლიტი, რომელიც თბილისის ზოოპარკის ადმინისტრაციას ახალი ზოოპარკის დაგეგმვაში ეხმარება.

თბილისის ზოოპარკის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰოლანდიელი სპეციალისტი კმაყოფილი დარჩა ახალი ზოოპარკის მდებარეობით, მისი ლანდშაფტით, ხედებითა და სივრცით.

„რით იქნება ახალი ზოოპარკი ძველისგან განსხვავებული? ერიკ ფონ ფლიტის თქმით, ძველი ყაიდის ზოოპარკებში ხალხს ცხოველებისადმი ნაკლები პატივისცემა ჰქონდა. ახალი კონცეფციის ზოოპარკებში, სადაც ცხოველებს აქვთ დიდი სივრცე, არ არსებობს ხელისშემშლელი ბარიერები და ცხოველები ბუნებრივთან მიახლოებულ გარემოში ბინადრობენ, ადამიანებს მეტი მოწიწება უჩნდებათ მათ მიმართ. ზუსტად ამგვარ ვოლიერებს გვიგეგმავს ბატონი ფლიტი. ამჟამად აფრიკის სავანაზე მუშაობს. ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე აფრიკის ექსპოზიცია დაახლოებით ათ ჰექტარს დაიკავებს. ძველი ზოოპარკი სულ ხუთი ჰექტარია. ახალი ზოოპარკის ერთი ვოლიერი ძველზე ორჯერ დიდი იქნება და ამ სივრცეში ჰიპოპოტამი, მარტორქა, ზებრები, სხვადასხვა სახეობის ანტილოპები და ყველასთვის სანატრელი ჟირაფები დაიდებენ ბინას“, – ვკითხულობთ თბილისის ზოოპარკის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



„რადიო თავისუფლება“ თბილისის ზოოპარკის დირექტორს ზურაბ გურიელიძეს დაუკავშირდა იმის გასარკვევად, თუ როდის ეყოლება თბილისის ზოოპარკს „სანატრელი ჟირაფები“. საქმე ის არის, რომ თბილისის ზოოპარკში ჟირაფების არსებობის ფაქტი არ დასტურდება დოკუმენტურად, თუმცა მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ჟირაფები სწორედაც რომ თბილისის ზოოპარკში ჰყავთ ნანახი.

ზურაბ გურიელიძე ამბობს, რომ ჰოლანდიელმა დიზაინერმა ნამდვილად დააპროექტა ჟირაფების ვოლიერი თავისი ზამთრის შენობით, ახლა კი ჯერი მის აშენებაზეა.

„უნდა დავიწყოთ მშენებლობა. რომ ავაშენებთ, მერე გვეცოდინება, საიდან ჩამოვიყვანთ ჟირაფებს. ალბათ, ევროპის ზოოპარკთა გაერთიანება მოგვცემს. არანაირი პრობლემა არ იქნება, თუმცა ჯერ ცოტა ადრეა ამაზე საუბარი, ჯერ ვოლიერი უნდა ავაშენოთ. ვაკეთებთ მაქსიმალურად მარტივს და, შესაბამისად, იაფს, რათა ჩვენი სახსრებით შევძლოთ მისი აშენება. რაც შეეხება ვადებს, მომავალი წელი ალბათ სრულად დაგვჭირდება მშენებლობისათვის. დავიწყებთ და ვნახავთ, სადამდე მივალთ. არანაირი კერძო სექტორის დახმარება არ გვაქვს. ბიუჯეტიდან დაფინანსება და პლუს ჩვენი შემოსავლები – ეს უნდა ვიკმაროთ“, – უთხრა ზურაბ გურიელიძემ „რადიო თავისუფლებას“.

თბილისის ზოოპარკი სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელიწადში საშუალოდ 3,6 მლნ ლარით ფინანსდება, ამას ემატება დაახლოებით 1 მლნ ლარი ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის სახით.

ზურაბ გურიელიძე იმედოვნებს, რომ თბილისის ზოოპარკი შეძლებს „აფრიკის ექსპოზიციის“ მოწყობას: ჯერ ვოლიერების აშენებას, შემდეგ კი ცხოველების, მათ შორის, ჟირაფების ჩამოყვანას, რაც, თავის მხრივ, საფუძველს გამოაცლის კამათს იმაზე, ჰყავდა თუ არა ოდესმე თბილისის ზოოპარკს ჟირაფები...

რაც შეეხება ჰოლანდიელი დიზაინერის კვალიფიკაციას. ერიკ ფონ ფლიტის მომსახურეებით ჰოლანდიის, იტალიის, ბელგიის, უნგრეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო ზოოპარკები სარგებლობენ. ბატონი ფლიტი თბილისის ზოოპარკს ერთხელ უკვე დაეხმარა. პირველად წყალდიდობის შემდეგ ჩამოვიდა და ჰამადრილების, მაკაკების, ვალაბების, ლამებისა და ტაპირის ვოლიერები სწორედ მისი დაგეგმარებულია, ახლა ჰიპოპოტამების, მარტორქების, ანტილოპებისა და ჟირაფების ჯერია.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

„სუხიშვილები“ სტრასბურგში იცეკვებენ

საქართველო 2019 წლის 27 ნოემბრიდან, 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯომარე ქვეყანა ხდება.

საქართველოს თავმჯდომარეობის აღსანიშნავად ქ. სტრასბურგში 2019 წლის 3 დეკემბერს გაიმართება საქართველოს ნაციონალური ბალეტის – სუხიშვილების კონცერტი.

საქართველო, თავმჯდომარეობას საფრანგეთისგან, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე, გადმოიბარებს, რომელიც 2019 წლის 27 ნოემბერს ქ. სტრასბურგში გაიმართება. საქართველოს საფრანგეთის მხრიდან გადმოეცემა ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის სიმბოლური გასაღები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, როგორც ევროპის საბჭოს მომავალ თავმჯდომარეს, სიმბოლურ გასაღებს საფრანგეთის ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრი, ამელი დე მონშალენი გადასცემს. თავმჯდომარეობის გადმოცემის ოფიციალურ ცერემონიამდე, 27 ნოემბერს ევროპის საბჭოს სასამართლო შენობიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები, სპეციალური ტრამვაით იმგზავრებენ, რომელიც ქართული ანბანით და საქართველოს თავმჯდომარეობის ლოგოთი არის მორთული.

ქ. სტრასბურგის რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება საქართველოს, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის დროშის აღმართვის ცერემონია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ქ. სტრასბურგის მერიის, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის და ევროპის საბჭოში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მონაწილეობით. ცერემონიის ფარგლებში გაიჭრება სიმბოლური ლენტი და შესრულდება საქართველოს ეროვნული ჰიმნი. აღსანიშნავია, რომ ქართული ანბანით და საქართველოს თავმჯდომარეობის ლოგოთი მორთული ტრამვაი ქ. სტრასბურგში 6 თვის განმალობაში იმოძრავებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოთულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნდნენ

საქართველოს თავდაცვის ძალების მე-4 მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი ავღანეთის ისლამური რესპუბლიკიდან სამშობლოში სრული შემადგენლობით დაბრუნდა. ქვედანაყოფმა მისია უდანაკარგოდ შეასრულა და როტაციის წესით უფლებამოსილება პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონს გადააბარა.

სამხედრო მოსამსახურეებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის შტაბის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი რობერტ არღვლიანი და მე-4 მექანიზებული ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი ვეფხია ჩალაბაშვილი დახვდნენ და მშვიდობისმყოფელებს მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს.

43-ე ბატალიონი ვიცე-პოლკოვნიკ ლაშა დავითაძის მეთაურობით, ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას 7 თვის განმავლობაში აშშ-ის სარდლობის დაქვემდებარებაში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ასრულებდა. ქართველი მშვიდობისმყოფელების ამოცანას ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენდა. საქართველოში სრული შემადგენლობით დაბრუნდა, ასევე, მე-3 ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეული მაიორ ხვიჩა ნიგურიანის მეთაურობით, რომელიც „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ასრულებდა.

ძმები ახლა პატარა გაბრიელის ჯანმრთელობაზე იზრუნებენ

ტაქსისტი ძმები, რომლებმაც დედის გადასარჩენად საქველმოქმედო ტაქსი შექმნეს, ახლა პატარა გაბრიელის დასახმარებლად იმუშავებენ.

„ამ პატარას სჭირდება ჩვენი დახმარება, რომ რაც შეიძლება მალე ჩავიდეს თურქეთში და გაუკეთონ ოპერაცია, რომელიც როგორც მშობლები გვეუბნებიან, არის სასწრაფო და მისი გადადება არ შეიძლება“ – ამბობს ნიკა ქართველიშვილი ვიდეომიმართვაში. ცნობისთვის, პატარა გაბრიელს შუასაყრის სიმსივნის დიაგნოზი დაუდგინდა. მას უკვე სამი ოპერაცია ჩაუტარდა და ესაჭიროება მეოთხე, რისთვისაც ოჯახი თანხას აგროვებს. დახმარებისთვის იხილეთ საბანკო ანგარიშები: **თიბისი ბანკი** #GEO07TB7315736010100041 GEL #GE26TB7315731573611010006 USD #GE96TB7315736110100007 EUR
მიმღები ლაშა ტოკლიკიშვილი

მასწავლებელთა ყველაზე მაღალი ხელფასი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) იმ ქვეყნების სიას აქვეყნებს, სადაც მასწავლებლებს ყველაზე მაღალი ხელფასი აქვთ.

თანხა დოლარებშია მოცემული და მოიცავს სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო სკოლის ასაკის მასწავლებელთა წლიურ შემოსავალს საპენსიო ან ჯანმრთელობის დაზღვევის და საშემოსავლოს დაბეგვრის გარეშე.

ლუქსემბურგი – 4 109 000; გერმანია – 474 000; კანადა – 4 67 000; ნიდერლანდები – 4 63 000; ავსტრალია – 4 63 000; აშშ – 4 62 000; ირლანდია – 4 62 000; დანია – 4 57 206; კორეა – 4 57 179; იაპონია – 451 000.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9753; ევრო - 3.2770;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8325;
100 რუბლი - 4.6556; თურქული ლირა - 0.5178;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7571;
1000 სომხური დრამი - 6.2506

ამინდი 27 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge